



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
მათემატიკის დეპარტამენტი

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: მათემატიკა

გეგა გულაღაშვილი

რიმანის სფეროზე ფუქსის ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა
სისტემისაგან ინდუცირებული ვექტორული ფიბრაციის კომპლექსური
სტრუქტურის დახასიათება

მათემატიკაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

გრიგორ გიორგაძე - ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2021



Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Exact and Natural Sciences

Department of Mathematics

Name of Doctoral Program: Mathematics

Gega Gulagashvili

**Description of the Holomorphic Type of Vector Bundles on the Riemann Sphere,
Induced from Fuchsian System of Differential Equations**

Thesis submitted for the degree of PhD in Mathematics

Scientific adviser:

Grigori Giorgadze - Doctor of Phys.-Math.Sci.

Associated professor

Tbilisi 2021

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება რეგულარული განსაკუთრებული წერტილების მქონე დიფერენციალურ განტოლებათა სისტემისაგან ინდუცირებული ჰოლომორფული ვექტორული ფიბრაციის ინვარიანტების გამოთვლასა და მისი საშუალებით დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის გლობალურ ამონახსნა სივრცის დახასიათებას. კერძოდ, რიმანის სფეროზე მოცემული განტოლებათა სისტემა განსაზღვრავს არაკომპაქტური რიმანის ზედაპირის ფუნდამენტური ჯგუფის, ანუ მონოდრომიის, წარმოდგენას. ამ წარმოდგენის საშუალებით იგება ტრივიალური მთავარი ფიბრაცია კომპლექსურ არაკომპაქტურ მრავალსახეობაზე. ფიბრაციის გაგრძელებით სისტემის განსაკუთრებულ წერტილებში, მიიღება არატრივიალური ვექტორული ჰოლომორფული ფიბრაცია დიფერენციალურ-გეომეტრიული მერომორფული ბმულობით, რომლის განსაკუთრებული წერტილები ემთხვევა დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის განშტოების წერტილებს. ფიბრაციის გაგრძელება, დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის განსაკუთრებულ წერტილებში, ხდება მერომორფული ბმულობის საშუალებით, ამასთან მიიღება ჰოლომორფულად არაექვივალენტურ ფიბრაციათა ერთობლიობა, რომელთა ჰოლომორფული სტრუქტურის დადგენა მათი გახლეჩვის ტიპის გამოთვლის გზით არის სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი შედეგი.

ნაშრომში გამოკვლეულია განტოლებათა სისტემის ამონახსნის ყოფაქცევა განსაკუთრებული წერტილის მიდამოში და მისი დამოკიდებულება მიღებული ფიბრაციის ინვარიანტებზე. გამოთვლილია ჰოლომორფული ფიბრაციის გაღწევის ტიპი, რითაც სრულად არის აღწერილი განტოლებათა სისტემისაგან ინდუცირებული ვექტორული ფიბრაციის კომპლექსური სტრუქტურა. ცალ-ცალკეა განხილული რეგულარულ განტოლებათა სისტემისა და სკალარული განტოლების შემთხვევები, მათი სპეციფიკის გამო, განსაკუთრებულ წერტილთა კლასიფიკაციის თვალსაზრისით. კერძოდ, რეგულარულ განტოლებათა სისტემების კლასი შეიცავს ფუქსის ტიპის

განტოლებათა სისტემების კლასს, ხოლო სკალარული განტოლებებისათვის რეგულარობისა და ფუქსის თვისებები ერთმანეთს ემთხვევა. სადისერტაციო ნაშრომში ცალკეა აგრეთვე გამოყოფილი მეორე რიგის განტოლებათა სისტემები და მეორე რიგის განტოლებები. მეორე რიგის სისტემებზე ყურადღება გამახვილებულია იმის გამო, რომ მათთვის ყოველთვის დადებითადაა ამოხსნადი რიმანის მონოდრომიული ამოცანა.

ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული მერომორფულ კოეფიციენტებიანი, მეორე რიგის, წრფივ განტოლებათა ისეთი სისტემები, რომელთა ამონახსნებიც რეგულარულია. ამ შემთხვევაში, ჰოლომორფული სტრუქტურის დახასიათება მოცემულია ფიბრაციის ჩერნის რიცხვის ტერმინებში, რომელიც ფიბრაციის ტოპოლოგიური ინვარიანტია.

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დანართისაგან. შესავალში მოყვანილია დისერტაციაში განხილული ძირითადი ამოცანის მნიშვნელობა და მოტივაცია, მითითებულია, აგრეთვე, მიღებული შედეგების ადგილზე ანალიზურ კოეფიციენტებიანი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემების თეორიაში.

აუცილებელი განმარტებები, ფუქსის ტიპის, რეგულარული განტოლებებისა და განტოლებათა სისტემების შესახებ მოყვანილია დისერტაციის პირველ და მეორე თავებში, სადაც შემოტანილია ძირითადი ცნებები და დამტკიცების გარეშეა მოყვანილი სტანდარტული დებულებები, ანალიზურ კოეფიციენტებიანი დიფერენციალურ განტოლებათა თეორიიდან, რომლებიც მუდმივად გამოიყენება მომდევნო თავებში. მეორე თავში განხილულია, აგრეთვე, ჰოლომორფული ვექტორული ფიბრაცია, განსაკუთრებული წერტილების მქონე დიფერენციალურ-გეომეტრიული ბმულობით, ეს არ არის სტანდარტული და საყოველთაოდ ცნობილი ობიექტი, რის გამოც მასთან დაკავშირებული დებულებები მოყვანილია დამტკიცებით. ამგვარი მიდგომის აუცილებლობა გამოიწვია, დისერტაციის ძირითადი თეორემის დამტკიცების გამჭვირვალობისათვის, ამ დებულებების ადაპტირებული ვარიანტის არსებობის

აუცილებლობამ. ამასთან, ამ შედეგების გადმოცემის დროს ვხელმძღვანელობდით პირველწყაროებით, რის გამოც დისერტაციაში მოყვანილი ცნობილი ფაქტები გადმოცემულია ინვარიანტული სახით და ზოგიერთი დებულების დამტკიცება არის ორიგინალური.

ძირითადი შედეგი მოყვანილია დისერტაციის მესამე (თეორემა 3.1.1, თეორემა 3.1.2, თეორემა 3.1.3, თეორემა 3.2.1, დებულება 3.1.1 და დებულება 3.1.2) და მეოთხე (თეორემა 4.1.1) თავებში, სადაც ყოველი რეგულარული დიფერენციალურ განტოლებათა სისტემისათვის, რომლის ყველა განსაკუთრებული წერტილი პირველი რიგის პოლუსია გარდა უსასრულობისა, შემოტანილია ახალი ობიექტი, რომელსაც ტრანსფერ-მატრიცი ეწოდება და ნაჩვენებია, რომ იგი რაციონალური მატრიცული ფუნქციაა, ნაჩვენებია რომ განტოლებათა სისტემისაგან ინდუცირებული ჰოლომორფული ვექტორული ფიბრაციის გახლეჩის ტიპი, ან რაც იგივეა ფიბრაციის კომპლექსური სტრუქტურა, სრულად ხასიათდება ტრანსფერ-მატრიცის კერძო ინდექსების საშუალებით. ტრანსფერ-მატრიცის ასაგებად მოყვანილია ალგორითმი, რისი ეფექტურობაც ნაჩვენებია დისერტაციის მეოთხე თავში, მეორე რიგის განტოლებათა სისტემისათვის. დამატებაში განხილულია მაგალითები, მითითებულია აგრეთვე მიღებული შედეგებისა და რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანის კავშირზე, უბან-უბან მუდმივი სასაზღვრო მატრიცული ფუნქციის შემთხვევაში.

დისერტაციაში განხილული საკითხები და მიღებული შედეგები ეფუძნება უკანასკნელ ორ ათწლეულებში რეგულარულ განტოლებათა სისტემებისათვის დამუშავებულ ანალიზურ, ალგებრულ და გეომეტრიულ მეთოდებს. მიღებული შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას მომიჯნავე ამოცანების, კერძოდ უბან-უბან მუდმივი მატრიცული ფუნქციის კერძო ინდექსების გამოსათვლელად და რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანის ანალიზისათვის, უბან-უბან მუდმივი სასაზღვრო მატრიცული ფუნქციის შემთხვევაში.

Abstract

The work is dedicated to the calculation of the holomorphic structure of the vector bundle induced from a regular system of differential equations on Riemann sphere and the characterization of the space of global solution of the system of differential equations through it. In particular, the system of equations given in Riemann sphere defines the representation of the fundamental group or monodromy representation of the non-compact Riemann surface, which induces the principal complex bundle over a noncompact complex manifold with meromorphic differential-geometric meromorphic connection. The set of singular points of the connection and the set of branch points of given system of differential equations coincide. The extension of this bundle over Riemann sphere is analytically nontrivial and its holomorphic structure completely characterized by splitting type of this bundle. The work investigates the behavior of the solutions of the system of equations in the neighbourhood of a singular points and its dependence on the invariants of the obtained bundle. The extension of the trivial bundle on the singular points of the system of equations happens by connection, wherein arises family of holomorphic nonequivalent vector bundles and computation of holomorphic type individual bundles from this family through calculation of splitting type of the bundle is one of the main topics of the thesis.

The work deals in detail of the systems of second-order linear equations with meromorphic coefficients whose solutions are regular. In this case, the characteristic of the holomorphic structure is given in terms of the Chern numbers, topological invariant of the holomorphic bundle.

The cases of a system of regular equations and a scalar equation are discussed separately from the point of view of the classification of specific points due to their specificity. In particular, the class of systems of regular equations contains the class of systems of equations of the Fuchs type, and for scalar equations the properties of regularity and Fuchs coincide. The thesis also distinguishes systems of second-order equations and second-order equations. The main attention is paid to systems of the second order, because the Riemann monodromic problem is always positively solvable for them.

The work consists of an introduction, four chapters and an appendix. The introduction indicates the importance and motivation of the main results discussed in the dissertation, and also indicates the

role of these results in the theory of systems of differential equations with analytical coefficients, in general.

The necessary definitions from the theory of Fuchs-type systems and systems of regular equations are given in Chapters 1 and 2 of the thesis, where the basic concepts are introduced and standard facts from the theory of analytical differential equations are presented, which are constantly used in subsequent chapters. Also, in the second chapter it is considered some basic facts from the theory of holomorphic vector bundles with differential-geometric connections with singular points. This is not a standard and well-known object, therefore, the corresponding results are presented with evidence. The necessity of such approach is needed for an adapted version of these results for the transparency of the approval of the main results.

The main results are given in Chapter 3 (Theorem 3.1.1, Theorem 3.1.2, Theorem 3.1.3, Theorem 3.2.1, Proposition 3.1.1 and Proposition 3.1.2) and the 4th Chapter (Theorem 4.1.1), which show that for each system of regular equations, all singular points of which are first-order poles, except infinity, a new object, so called the transfer matrix, is introduced and it is shown that this is a rational matrix function. The holomorphic structure of the bundle is fully characterized by the partial indices of the transfer matrix. The transfer matrix is constructed algorithmically, and the efficiency of algorithm is proved in the fourth chapter of the thesis for a system of second-order equations.

The topics discussed in the thesis and the results obtained are based on analytical, algebraic and geometric methods developed for regular system of equations over the past two decades. The results obtained can be used for investigation of the related problems, in particular, for calculating the partial indices of a piecewise constant matrix-functions, as well as for analyzing the Riemann-Hilbert boundary value problem when the transition function of the problem is piecewise constant matrix-function.

ს ა რ ჟ ე ვ ი

შესავალი	10
----------------	----

თავი I. რეგულარული და ფუქსის სისტემები რიმანის სფეროზე, განმარტებები და დამხმარე დებულებები

1.1. n რიგის რეგულარული განტოლებები კომპლექსურ სიბრტყეზე	18
1.2. რეგულარულ განტოლებათა სისტემის ამონახსნთა სივრცის სტრუქტურა	23

თავი II. რეგულარულ განტოლებათა სისტემისაგან ინდუცირებული ვექტორული ფიბრაცია და მისი კანონიკური გაგრძელება

2.1. ჰოლომორფული ფიბრაცია ბმულობით. დამხმარე დებულებები და განმარტებები	36
2.2. რიმანის სფეროზე, რეგულარული განტოლების, გლობალურ ამონახსნთა სივრცის, რიცხვითი მახასიათებლები	41
2.3. განტოლებათა სისტემისაგან ინდუცირებული ფიბრაცია	45
2.4. მატრიცული ფუნქციის ფაქტორიზაცია და ჰოლომორფული ფიბრაციების კლასიფიკაცია, რიმანის სფეროზე	53

თავი III. რეგულარულ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემისაგან ინდუცირებული ვექტორული ფიბრაციის გახლეჩვის ტიპი

3.1. განტოლებათა სისტემის ტრანსფერ-მატრიცი	60
3.2. ინდუცირებული ფიბრაციის გახლეჩვის ტიპის გამოთვლა	86

თავი IV. მეორე რიგის, რეგულარულ განტოლებათა სიტემებისაგან ინდუცირებული ვექტორული ფიზრაციები

4.1. ჰიპერგეომეტრიული განტოლებისაგან ინდუცირებული

ჰოლომორფული ფიზრაცია 90

4.2. ტრანფერ-მატრიცის აგების ალგორითმის რეალიზაცია 91

დანართი 116

დასკვნა 126

ლიტერატურა 127

შესავალი

რიმანის $\mathbb{CP}^1$ სფეროზე

$$\frac{dy}{dz} = B(z)y, \quad (1)$$

წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა, სადაც $B(z)$ ცნობილი მატრიცული ფუნქციაა, ხოლო $y(z) = (y^1(z), y^2(z), \dots, y^n(z))$ კი $U \subset \mathbb{CP}^1$ არეში განსაზღვრული უცნობი ვექტორული ფუნქციაა, მათემატიკოსთა და ფიზიკოს-თეორეტიკოსთა უწყვეტი და ინტენსიური კვლევის ობიექტია უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მისი მრავალმხივი გამოყენებების გამო. გასული საუკუნის 80-იან წლებში შემჩნეული იქნა, რომ მათემატიკური ფიზიკის არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებები კორტევეგ-დე ვრიზის (Korteweg-de Vries), არაწრფივი შრიოდინგერი (nonlinear Schrödinger), ბიურგერსის (Burgers equations), sin-გორდონის (sine-Gordon equation equation) განტოლებები წარმოადგენენ (1) სახის განტოლებათა სისტემის იზომონოდრომულობის პირობას და უშუალოდ არიან დაკავშირებული ე. წ. პენლევეს ტრანსცედენტულ განტოლებებთან. ამავე პერიოდს ეკუთვნის ჰიპოთეზა პენლევეს ტესტის შესახებ, რომლის თანახმად, კომპლექსურ სიბრტყეზე განსაზღვრული ყველა მეორე რიგის არაწრფივი დიფერენციალური განტოლება უძრავი განსაკუთრებული წერტილით რედუცირდება პენლევეს რომელიმე განტოლებაზე (იხ. [7], [15], [31], [37]). მეორეს მხრივ, $B(z)dz$ 1-დიფერენციალური ფორმა არის (1) სისტემისაგან ინდუცირებული ჰოლომორფული ვექტორული ფიბრაციის დიფერენციალურ-გეომეტრიული ბმულობის ფორმა და ამრიგად, შესაძლებელია განხილული იქნას როგორც ყალიბური პოტენციალი, რომელიც ცენტრალური ობიექტია ველის ყალიბურ თეორიაში. (1) სახის განტოლებათა სისტემაა აგრეთვე ველის კონფორმული თეორიის ძირითადი განტოლება, რომელიც კნიჟნიკ-ზამოლოდჩიკოვის განტოლების სახელითაა სამეცნიერო ლიტერატურატურაში ცნობილი, (1) სახის განტოლებას უკავშირდება

კვანძებისა და მარყუქების ტოპოლოგიური კლასიფიკაცია, კვანტური ჯგუფების ზოგიერთი სპეციფიკური საკითხი და სხვა [31].

განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს (1) სახის რეგულარულ განტოლებათა სისტემა. დავუშვათ $B(z)$ მატრიცული ფუნქცია ჰოლომორფულია S დისკრეტული სიმრავლის დამატებაზე, ხოლო S კი $B(z)$ -ის განსაკუთრებულ წერტილთა სიმრავლეა. ასეთ შემთხვევაში ცნობილია, რომ (1) სისტემას, $z_0 \in X_m = \mathbb{CP}^1 \setminus S$ წერტილის მცირე მიდამოში, ყოველთვის აქვს n წრფივად დამოუკიდებელ ამონახსნთა სისტემა $y_1(z), y_2(z), \dots, y_n(z)$, რომელიც გაგრძელებადია ნებისმიერი წირის გასწვრივ და მიღებული ვექტორული ფუნქცია დამოკიდებულია მხოლოდ წირის ჰომოტოპიის კლასზე. თუ $[\gamma_1], [\gamma_2], \dots, [\gamma_m]$ -ით აღვნიშნავთ წირების ჰომოტოპიის კლასებს, იმ წირებისას, რომლებიც იწყებიან და მთავრდებიან z_0 წერტილში და ერთხელ შემოუვლიან განსაკუთრებულ წერტილებს, საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით, მაშინ მივიღებთ

$$\chi : \pi_1(\mathbb{CP}^1 \setminus S, z_0) \rightarrow GL_n(\mathbb{C}), \quad \chi[\gamma_j] = G_j, \quad 1, \dots, m \quad (2)$$

მონოდრომიის წარმოდგენას, სადაც $\pi_1(\mathbb{CP}^1 \setminus S, z_0)$ აღნიშნავს ფუნდამენტურ ჯგუფს. $\pi_1(\mathbb{CP}^1 \setminus S, z_0)$ ჯგუფის ანასახი χ ჰომომორფიზმის დროს არის (1) სისტემის შესაბამისი მონოდრომიის ჯგუფი და წარმოადგენს (1) სისტემის მნიშვნელოვან ინვარიანტს. მაგალითად, გარკვეული კლასის სისტემებისათვის, მონოდრომიის ჯგუფის ამოსნადობიდან გამომდინარეობს (1) სისტემის ამოხსნადობა განზოგადებულ კვადრატურებში [35].

(1) სახის რეგულარული განტოლებათა სისტემების მნიშვნელოვანი ქვეკლასია ფუქსის ტიპის სისტემები, რომლის კანონიკური სახეა

$$df = \omega f; \quad \omega = \sum_{i=1}^m \frac{A_i}{z - s_i} dz, \quad (3)$$

(3) განტოლებათა სისტემა, რომლის კერძო შემთხვევებია რიმანის განტოლება - მეორე რიგის განტოლება სამი განსაკუთრებული წერტილით და მისი კანონიკური სახე, გაუსის

ჰიპერგეომეტრიული განტოლება, აგრეთვე ჰოინის განტოლება, მეორე რიგის დიფერენციალური განტოლება ოთხი განსაკუთრებული წერტილით, რომლის კანონიკური სახეა ლამეს განტოლება. როგორც კარგადაა ცნობილი, ეს განტოლებები იძლევიან სპეციალურ ფუნქციებსა და ორთოგონალურ პოლინომებს, რომელთა გამოც მათ ფუნდამენტური გამოკვლევები მიუძღვნეს გაუსმა, რიმანმა, ვაიერშტრასმა, ფუქსმა, შლეზინგერმა, პენლევემ, პუანკარემ [39] (აქვე იხილეთ მოკლე ისტორიული მიმახილვა).

რიმანმა ერთ-ერთ თავის ბოლო ნაშრომში [32] დასვა შებრუნებული ამოცანა:

რიმანის ამოცანა მონოდრომიის შესახებ: შესაძლებელია თუ არა აიგოს (1) სისტემა, რომელსაც მოცემულ $s_1, s_2, \dots, s_m$ წერტილებში ექნება პირველი რიგის პოლუსები, ხოლო ამ სისტემის მონოდრომიის მატრიცები დაემთხვევა წინასწარ მოცემულ $G_1, G_2, \dots, G_m$ მატრიცებს?

რიმანმა იქვე მიუთითა ამ ამოცანის ამოხსნის ერთ-ერთ შესაძლო გზაზე. იგი მსჯელობდა შემდეგნაირად: $s_1, s_2, \dots, s_m$ წერტილები თანმიმდევრობით შევაერთოთ მონაკვეთებით, კერძოდ, s_1 შევაერთოთ s_2 -თან, s_2 შევაერთოთ s_3 -თან ... s_{m-1} შევაერთოთ s_m -თან, ხოლო s_m შევაერთოთ s_1 -თან. მივიღებთ შეკრულ წირს, რომელიც კომპლექსურ სიბრტყეს ორ - გარე, C^- და შიგა, C^+ , არეებად დაყოფს. ამ შეკრულ წირზე განვიხილოთ უბან-უბან მუდმივი $G(t)$ მატრიცული ფუნქცია, განსაზღვრული ტოლობით:

$$G(t) = G_j G_{j-1} \dots G_1 \text{ თუ } t \in s_j s_{j+1},$$

სადაც $s_j s_{j+1}$ აღნიშნავს s_j და s_{j+1} წერტილების შემაერთებელ მონაკვეთს. შემდეგ მან დასვა შემდეგი სასაზღვრო ამოცანა:

რიმანის სასაზღვრო ამოცანა [13], [29] : ვიპოვოთ მატრიც-ფუნქციათა წყვილი $\Phi^+(t), \Phi^-(t)$, რომლებიც უწყვეტები არიან აგებულ წირზე, გარდა შესაძლოა $s_1, s_2, \dots, s_m$ წერტილებისა, სადაც მათ ექნებათ პირველი რიგის წყვეტები, $\Phi^+(t)$ იქნება შიგა არეზე გადაუგვარებელი ჰოლომორფული მატრიც-ფუნქციის სასაზღვრო მნიშვნელობა, $\Phi^-(t)$ კი იქნება გარე არეზე გადაუგვარებელი ჰოლომორფული მატრიც-ფუნქციის სასაზღვრო

მნიშვნელობა, რომელსაც სასრული რიგი ექნება უსასრულობაში, ხოლო საზღვარზე კი ისინი ერთმანეთს დაუკავშირდებიან ტოლობით:

$$\Phi^+(t) = G(t)\Phi^-(t).$$

ამრიგად, საჭიროა ვიპოვოთ $\varphi^+ = (\varphi_1^+, \varphi_2^+, \dots, \varphi_n^+)$ და $\varphi^- = (\varphi_1^-, \varphi_2^-, \dots, \varphi_n^-)$ ვექტორულ ფუნქციათა ისეთი წყვილი, რომ:

1. $\varphi^+(z)$ ჰოლომორფული იყოს C^+ -ში, $\varphi^-(z)$ ჰოლომორფული იყოს C^- -ში და სასრული რიგი ჰქონდეს უსასრულობაში;
2. $\varphi^+(z)$ და $\varphi^-(z)$ უწყვეტად გაგრძელებადები იყვნენ L კონტურზე, $s_1, s_2, \dots, s_m$ წერტილების გარდა და (s_j, s_{j+1}) -ზე აკმაყოფილებდნენ თანადობას:

$$\varphi^+(t)G(t) = \varphi^-(t),$$

(s_j, s_{j+1}) - აღნიშნავს s_j და s_{j+1} წერტილების შემაერთებელ მონაკვეთს, ბოლოების ე. ი. s_j და s_{j+1} წერტილების, გარეშე, $j = 1, \dots, n - 1$;

3. $\varphi^\pm(z)(z - s_j)^\varepsilon$ მიისწრაფვის ნულისკენ, ყოველი ε -თვის, $0 \leq \varepsilon < 1$, როდესაც z მიისწრაფვის s_j -კენ შესაბამისად C^+ -დან და C^- -დან, $j = 1, \dots, n$.

ორივე ამოცანა რიმანს დაუსრულებელი დარჩა. მითითებული ნაშრომის გამოქვეყნებიდან მალე იგი გარდაიცვალა და მისი კვლევები დ. ჰილბერტმა გააგრძელა. მან რამდენიმე კერძო შემთხვევისათვის ამოხსნა რიმანის ამოცანა მონოდრომიის შესახებ (შემდეგ მას ჩვენ რიმანის მონოდრომიულ ამოცანას დავუძახებთ), ხოლო ზოგადი სახით ისე, როგორც ეს ამოცანა რიმანმა ჩამოაყალიბა, მან შეიტანა თავის ცნობილ პრობლემათა ნუსხაში, ნომრით 21. როდესაც ჰილბერტი თავის პრობლემებს აყალიბებდა, იგი ყოველთვის აკეთებდა კომენტარს, მოჰყავდა ამოცანის მოტივაცია. ხშირ შემთხვევაში ეს მოტივაცია საკმაოდ “ზოგადმეცნიერულია“, კერძოდ, ჰილბერტის სტილი პრობლემის ჩამოყალიბების დროს ასეთია: იგი სვამს პრობლემას, შემდეგ აწვითარებს მის ამოსახსნელ სავარაუდო ტექნიკას, შემდეგ კი მოჰყავს მომიჯნავე ამოცანები, ბოლოს კი ის შედეგები, რაც ამოცანის ამოხსნას მოჰყვება. 21-ე პრობლემასთან დაკავშირებით ჰილბერტის კომენტარი საკმაოდ ძუნწია. იგი შემოიფარგლება მხოლოდ შიგა

მათემატიკური ინტერესით. ჰილბერტი აღნიშნავს, რომ ამ ამოცანის ამოხსნის შემთხვევაში, ანალიზურ კოეფიციენტებიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორია მიიღებდა დასრულებულ სახეს (იხ. [4]).

n რიგის სკალარული განტოლებებისათვის, რიმანის მონოდრომიული ამოცანის სრული ანალიზი მოახდინა პუნკარემ, რომელმაც გამოთვალა განტოლებისა და მონოდრომიის პარამეტრები და აჩვენა, რომ მოცემული განსაკუთრებული წერტილებითა და გადაუგვარებელი მატრიცების საშუალებით, შესაძლებელია, აიგოს მერომორფულად არაექვივალენტური განტოლებები. ამის შემდეგ, მომდევნო პერიოდში, კვლევის ობიექტი გახდა მხოლოდ განტოლებათა სისტემები. გარკვეული პროგრესი მიღწეული იქნა პლემელის ნაშრომში [33], სადაც სასაზღვრო ამოცანა მიყვანილია უწყვეტ კოეფიციენტებიან ამოცანაზე და შემდეგ ამოხსნილია სინგულარული ინტეგრალური განტოლებების მეთოდებით (იხ. აგრეთვე [3], [29]). კერძოდ, ნაჩვენებია, რომ არსებობს ამონახსნთა ისეთი $\varphi_1^\pm(z), \varphi_2^\pm(z), \dots, \varphi_n^\pm(z)$ სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს (იხ. [13], [29]):

1. T მატრიც ფუნქციის, რომლის სტრიქონები შედგება $\varphi_1^\pm(z), \varphi_2^\pm(z), \dots, \varphi_n^\pm(z)$ ვექტორებისაგან, დეტერმინანტი ყველგან არანულოვანია, გარდა $s_1, s_2, \dots, s_m$ წერტილებისა;
2. მატრიცული ფუნქცია $z^D T$ ჰოლომორფულად შებრუნებადია ∞ -ში.

ყოველი განსაკუთრებული წერტილის მიდამოში განვიხილოთ მატრიცული ფუნქცია $F = (z - s_j)^D T$. F არის უსასრულობაში ჰოლომორფულად შებრუნებადი, ფორმა $\omega = dF$. F^{-1} “თითქმის“ საძიებელი ფორმაა. თითქმის იმის გამო, რომ მიღებული დიფერენციალური ფორმისაგან განსაზღვრული დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნს, შესაძლებელია, უსასრულობაში ჰქონდეს არა აუცილებლად პირველი რიგის პოლუსი. ამრიგად, რიმანის ამოცანის ამოხსნის ამგვარი გზა (პლემელის მიდგომა) იძლევა ჰილბერტის 21-ე პრობლემის ამონახსნს, განტოლებათა მხოლოდ რეგულარული კლასისათვის და არა ფუქსის სისტემებისათვის [4], [15], [22].

სასაზღვრო ამოცანის გადასვლის $G(t)$ ფუნქციისათვის მუსხელიშვილმა და ვეკუამ შემოიტანეს მნიშვნელოვანი ინვარიანტი, მატრიცული ფუნქციის კერძო ინდექსები. იგი დაკავშირებულია $G(t)$ -ს ვინერ-ჰოპფი-ბირკჰოფის ფაქტორიზაციასთან [11-12], [31]. კერძოდ, $\gamma: S^1 \rightarrow GL_n(\mathbb{C})$ მარყუჟების სიმრავლე აღვნიშნოთ $LGL_n(\mathbb{C})$ -ით. ნებისმიერი მარყუჟი შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახით:

$$\gamma = \gamma_- d\gamma_+, \quad (4)$$

სადაც

$$d = \begin{pmatrix} t^{k_1} & 0 & 0 \\ \cdot & \cdot & \cdot \\ 0 & 0 & t^{k_n} \end{pmatrix}$$

და γ_+ , γ_- ჰოლომორფული და შებრუნებადი მატრიცული ფუნქციებია, შესაბამისად, S^1 ერთეულ რადიუსიანი წრეწირის შიგნით და გარეთ, უსასრულობის ჩათვლით [18], [31]. ნებისმიერ მატრიცულ ფუნქციას ცალსახად შეესაბამება ელემენტი $LGL_n(\mathbb{C})$ -დან და აქედან გამომდინარე, კერძო ინდექსები არიან სასაზღვრო ამოცანისა და სასაზღვრო ამოცანის გადასვლის ფუნქციის სრული მახასიათებლები. მეორე მხრივ, $LGL_n(\mathbb{C})$ მარყუჟთა ჯგუფის ნებისმიერი ელემენტი ცალსახად განსაზღვრავს $E \rightarrow \mathbb{CP}^1$ ჰოლომორფულ ფიბრაციას რიმანის სფეროზე, ეს უშუალოდ გამომდინარეობს (4) წარმოდგენიდან, ხოლო d მატრიცული ფუნქციის სტრუქტურიდან (იგი დიაგონალურია) გამომდინარეობს გროთენდიკის თეორემა იმის შესახებ, რომ $E \rightarrow \mathbb{CP}^1$ ვექტორული ფიბრაცია იშლება წრფივი ფიბრაციების ჯამად:

$$E \cong E(k_1) \oplus E(k_2) \oplus \dots \oplus E(k_n). \quad (5)$$

(5) წარმოდგენაში $k_1 \geq k_2 \geq \dots \geq k_n$ მთელ რიცხვებს ეწოდება E ფიბრაციის გახლეჩვის ტიპი და ამრიგად, ფიბრაციის გახლეჩვის ტიპი ემთხვევა შესაბამისი მარყუჟის (სასაზღვრო ამოცანის გადასვლის მატრიცული ფუნქციის) კერძო ინდექსებს. ამ კონტექსტში, მუსხელიშვილის ცნობილი თეორემა, სასაზღვრო ამოცანის ამონახსნთა სივრცის შესახებ, არის შემდეგი ტოლობა:

$$\dim H^0(\mathbb{CP}^1, \mathcal{O}(E)) = c_1(E) + 1,$$

რაც ნიშნავს, რომ ჰოლომორფული ფიბრაციის, ჰოლომორფული კვეთების სივრცის განზომილება, გამოისახება ფიბრაციის ტოპოლოგიური ინვარიანტის - $c_1(E)$, ჩერნის რიცხვის, საშუალებით.

რიმანის მონოდრომიული ამოცანა (ჰილბერტის 21-ე პრობლემა) სრულად ამოხსნილი იქნა ა. ბოლიბრუხის მიერ [იხ. [4]], კერძოდ, მან აჩვენა, რომ ფუქსის კლასის განტოლებათა სისტემებისათვის ჰილბერტის 21-ე პრობლემა ამოხსნადია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც განტოლებათა სისტემისაგან ინდუცირებული ფიბრაციის გახლეჩვის ტიპისათვის სრულდება პირობა

$$k_1 = k_2 = \dots = k_n = 0. \quad (6)$$

ამრიგად, თუ ცნობილია განტოლებათა სისტემისაგან ინდუცირებული ფიბრაციის გახლეჩვის ტიპი, აქედან გამომდინარეობს კრიტერიუმი იმისა, რეალიზებულია თუ არა მოცემული მონოდრომიის წარმოდგენა როგორც ფუქსის ტიპის განტოლებათა სისტემების მონოდრომია [4], [9]. მართლაც, რეგულარულ განტოლებათა სისტემა, მოცემული მონოდრომიის წარმოდგენისათვის, ყოველთვის არსებობს პლემელის თეორემის თანახმად, ხოლო რეგულარული სისტემისაგან იგება ჰოლომორფული ფიბრაცია, რომლის ჰოლომორფულად ტრივიალურობა, ე. ი. (6) პირობის შესრულება, საკმარისია ფუქსის ტიპის განტოლებათა სისტემის არსებობისათვის. რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ ფიბრაციის გახლეჩვის ტიპის ცოდნის შემთხვევაში ცალსახად შეგვეძლება ვთქვათ დადებითია თუ არა პასუხი ჰილბერტის 21-ე პრობლემაზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განტოლებათა სისტემისაგან ასოცირებული (ინდუცირებული) ვექტორული ფიბრაციის გახლეჩვის ტიპის გამოთვლა. გარდა ამისა, კერძო ინდექსებისა და გახლეჩვის ტიპის ტოლობის გამო, გახლეჩვის ტიპის საშუალებით შესაძლებელი ხდება მატრიცული ფუნქციის კერძო ინდექსების გამოთვლა, რომელიც დღეს ღია პრობლემაა ([12], [26-28]). რეგულარულ განტოლებათა სისტემისაგან ინდუცირებული ჰოლომორფული ფიბრაციის გახლეჩვის ტიპის გამოსათვლელი ალგორითმის არსებობაზე ჰიპოთეზა გამოთქმული იყო ა. ბოლიბრუხის მიერ [9]-ში. კერძო შემთხვევებში ეს ჰიპოთეზა ამოხსნილი და შემდეგ გამოყვებული

იქნა [34], [38]-ში ჰილბერტის 21-ე პრობლემის ამოხსნადობის საკმარისი პირობების მისაღებად.

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება რიმანის სფეროზე ვექტორული ფიბრაციის გახლეჩვის ტიპის გამოთვლას, განტოლებათა სისტემასთან ასოცირებული რაციონალური მატრიცული ფუნქციის საშუალებით და ეს არის სადისერტაციო ნაშრომის სიახლე.

კერძოდ, დისერტაციაში რეგულარულ განტოლებათა სისტემისაგან აგებულია ჰოლომორფული ფიბრაცია რიმანის სფეროზე და ნაჩვენებია, რომ მისი გახლეჩვის ტიპი ემთხვევა გარკვეული სახის რაციონალური მატრიცული ფუნქციის - ტრანსფერ-მატრიცის კერძო ინდექსებს. ამას ეძღვნება დისერტაციის მესამე და მეოთხე თავები. აქვეა მოყვანილი ამ ტრანსფერ-მატრიცის აგების ალგორითმი. მეოთხე თავში განხილულია მეორე რიგის განტოლებათა სისტემები და სისტემის ტრანსფერ-მატრიცისათვის გამოთვლილია კერძო ინდექსები, კანონიკური ფიბრაციის ჩერნის რიცხვით. დისერტაციის პირველი და მეორე თავები დათმობილი აქვს რეგულარული და ფუქსის ტიპის განტოლებათა სისტემების ამონახსნების გლობალურ და ლოკალურ თვისებებს, ჰოლომორფული ფიბრაციის აგების შესაძლებლობას, რიმანის სფეროზე, ლოგარითმული ბმულობის საშუალებით.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები მოხსენებული იყო სამეცნიერო სემინარებზე, თსუ, “გმი“, გაფართოებული სემინარის სხდომებზე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ყოველწლიურ საფალკუტეტო კონფერენციებზე, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის ყოველწლიურ კონფერენციაზე (ბათუმი), საერთაშორისო კონფერენციაზე კომპიუტერულ ალგებრაში (დუბნა) და გამოქვეყნებულია [3], [16-17], [19-20] ნაშრომებში.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი № FR17_96].

თავი I. რეგულარული და ფუქსის სისტემები რიმანის სფეროზე,

განმარტებები და დამხმარე დებულებები

1.1. n რიგის რეგულარული განტოლებები კომპლექსურ სიბრტყეზე

განვიხილოთ n -ური რიგის წრფივი, ერთგვაროვანი განტოლება

$$y^{(n)} + p_1(z)y^{(n-1)} + \dots + p_{n-1}(z)y' + p_n(z)y = 0. \quad (1.1.1)$$

ზოგადობის შეუზღუდავად, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ $p_i(z)$ ანალიზურია 0 წერტილისა მიდამოში, გარდა, შესაძლოა თვით 0-სა, $i = 1, \dots, n$.

$z = 0$ -ს ეწოდება *განსაკუთრებული (სინგულარული) წერტილი* თუ ყოველი $p_i(z)$ კოეფიციენტისათვის, $i = 1, \dots, n$, არის პოლუსი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეწოდება განტოლების *რეგულარული წერტილი* და ეწოდება *რეგულარული განსაკუთრებული წერტილი*, თუ ნებისმიერი

$$\Sigma = \{z \in \mathbb{C} \mid \theta_1 < \arg z < \theta_2, 0 < |z| < \varepsilon\}$$

სექტორისათვის, სადაც ε რაიმე მცირე დადებითი რიცხვია, θ_1 და θ_2 მთელი რიცხვებია, არსებობს ისეთი ნატურალური k და დადებითი მუდმივი C , რომ (1.1.1) განტოლების $y(z)$ ამონახსნისათვის სრულდება უტოლობა

$$|y(z)| < \frac{C}{|z|^k}$$

ნებისმიერი z -სათვის Σ -დან.

თუ 0 არის (1.1.1) განტოლების კოეფიციენტების განსაკუთრებული წერტილია, მაშინ 0 აუცილებლად იქნება ამონახსნის განსაკუთრებული წერტილი, მათ შორის განშტოების წერტილიც [21-22].

დავუშვათ, $z = 0$ რეგულარული ან რეგულარული განსაკუთრებული წერტილია. ვთქვათ

$$D = z \frac{d}{dz}, \text{ მაშინ}$$

$$z^r \frac{d}{dz^r} = D(D-1) \dots (D-r+1) \quad (1.1.2)$$

და (1.1.2)-ის გამოყენებით, (1.1.1) განტოლება გადაიწერება შემდეგი სახით:

$$D^n y + q_1(z) D^{n-1} y + \dots + q_{n-1}(z) D y + q_n(z) y = 0. \quad (1.1.3)$$

0-ის რეგულარული განსაკუთრებულობის გამო, (1.1.3) განტოლებაში, $q_i(z)$ პოლინომორფული ფუნქციებია, $i = 1, \dots, n$.

(1.1.1) განტოლების *მახასიათებელი განტოლება*, $z = 0$ წერტილში, ვუწოდოთ შემდეგ პოლინომიალურ განტოლებას:

$$\lambda^n + q_1(0)\lambda^{n-1} + \dots + q_{n-1}(0)\lambda + q_n(0) = 0. \quad (1.1.4)$$

(1.1.4) განტოლების ფესვებს ეწოდება (1.1.1) განტოლების, $z = 0$ რეგულარული განსაკუთრებული წერტილის *ლოკალური ექსპონენტები*. მტკიცდება, რომ ექსპონენტები დამოკიდებულნი არ არიან ცვლადის გარდაქმნაზე [21].

თუ z_0 წერტილი არის (1.1.1)-ის რეგულარული განსაკუთრებული წერტილი (ან რეგულარული წერტილი), მაშინ არსებობს ზღვარი

$$\lim_{z \rightarrow z_0} (z - z_0)^i p_i(z), \quad i = 1, 2, \dots, n,$$

ხოლო $z = \infty$ არის (1.1.1)-ის რეგულარული განსაკუთრებული წერტილი (ან რეგულარული წერტილი), თუ არსებობს ზღვარი $\lim_{z \rightarrow z_0} z^i p_i(z)$, $i = 1, 2, \dots, n$. ცნობილია, რომ თუ z_0 არის (1.1.1) განტოლების განსაკუთრებული წერტილი და $a_i = \lim_{z \rightarrow z_0} (z - z_0)^i p_i(z)$, $i = 1, 2, \dots, n$, მაშინ (1.1.1)-ის მახასიათებელ განტოლებას აქვს სახე:

$$\lambda(\lambda-1) \dots (\lambda-n+1) + a_1 \lambda(\lambda-1) \dots (\lambda-n+2) + \dots + a_{n-1} \lambda + a_n = 0,$$

ხოლო თუ ∞ რეგულარული განსაკუთრებული წერტილია (ან რეგულარულია) და $a_i = \lim_{z \rightarrow z_0} z^i p_i(z)$, მაშინ მახასიათებელი განტოლება იქნება:

$$\lambda(\lambda+1) \dots (\lambda+n-1) - a_1 \lambda(\lambda+1) \dots (\lambda+n-2) + \dots + (-1)^{n-1} a_{n-1} \lambda + (-1)^n a_n = 0.$$

(1.1.1) სახის განტოლებას ეწოდება *ფუქსის*, თუ მისი ყველა განსაკუთრებული წერტილი რეგულარულია.

რიმანის სქემა ეწოდება გამოსახულებას

$$\begin{pmatrix} s_1 & \cdot & \cdot & \cdot & s_m \\ s_1^1 & \cdot & \cdot & \cdot & s_m^1 \\ \cdot & \cdot & \cdot & \cdot & \cdot \\ \cdot & \cdot & \cdot & \cdot & \cdot \\ \cdot & \cdot & \cdot & \cdot & \cdot \\ s_1^n & \cdot & \cdot & \cdot & s_m^n \end{pmatrix}, z,$$

სადაც s_j , $j = 1, 2, \dots, m$, რეგულარული განსაკუთრებული წერტილებია, ხოლო s_j^i , $i = 1, 2, \dots, n$, არიან განსაკუთრებული წერტილის ექსპონენტები. *ფუქსის თეორემის* თანახმად, (1.1.1) განტოლების ყველა ექსპონენტების ჯამი დამოკიდებულია განსაკუთრებული წერტილების რაოდენობაზე და სამართლიანია ტოლობა [22] :

$$\sum_{i=1}^n \sum_{j=1}^m s_j^i = \frac{(m-2)n(n-1)}{2}.$$

წრფივი, ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლება, ანალიზური კოეფიციენტებით, კომპლექსურ არეში

$$y^{(n)} + p_1(z)y^{(n-1)} + \dots + p_{n-1}(z)y' + p_n(z)y = 0,$$

რომლის ყველა განსაკუთრებული წერტილი არის რეგულარული განსაკუთრებული წერტილი, ეკუთვნის *ფუქსის განტოლებათა კლასს*, სადაც

$$p_j(z) = \prod_{l=1}^m \frac{r_l(z)}{(z - s_l)^j}$$

და $s_1, s_2, \dots, s_m$, ერთმანეთისაგან განსხვავებული წერტილებია, რომელთა შორის არ არის ∞ , ხოლო თუ $s_m = \infty$, ე. ი. ∞ არის განსაკუთრებულ წერტილებს შორის, მაშინ

$$p_j(z) = \prod_{l=1}^{m-1} \frac{r_l(z)}{(z - s_l)^j},$$

$r_j(z)$ - ჰოლომორფულია მთლიან კომპლექსურ სიბრტყეზე, $j \in \mathbb{N}$ და $j = 1, \dots, n$.

მაგალითი - მეორე რიგის რეგულარული განტოლება:

თუ $r = 1$, მაშინ, რადგან $D = z \frac{d}{dz}$ და განტოლებას აქვს სახე:

$$z \frac{d}{dz} y + q_1(z)y = 0.$$

ხოლო თუ $r = 2$, მაშინ

$$D(D - 1) = D^2 - D = z \frac{d}{dz} \left(z \frac{d}{dz} \right) - z \frac{d}{dz} = z \frac{d}{dz} + z^2 \frac{d^2}{dz^2} - z \frac{d}{dz} = z^2 \frac{d^2}{dz^2}$$

და

$$z^2 \frac{d^2}{dz^2} y + zq_1(z) \frac{d}{dz} y + q_2(z)y = 0$$

$$\text{ე. ი. } z^2 y'' + zq_1(z)y' + q_2(z)y = 0.$$

ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ

$$z^2 y'' + zy' + (z^2 - v^2)y = 0.$$

ბესელის განტოლებას აქვს ორი განსაკუთრებული წერტილი $z = 0$ და $z = \infty$, მაგრამ ის არ არის ფუქსის ტიპის განტოლება, ხოლო

$$z^2 y'' - (a + b - 1)zy' + aby = 0$$

ეილერის განტოლებას, სადაც a და b ნებისმიერი მუდმივებია, აქვს $z = 0$ და $z = \infty$ განსაკუთრებული წერტილი და იგი წარმოადგენს ფუქსის ტიპის განტოლებას. აქვე შევნიშნოთ, რომ ეილერის განტოლება არის მეორე რიგის, ორი განსაკუთრებული წერტილის მქონე, ფუქსის ტიპის განტოლების კანონიკური სახე (ზოგად ეილერის განტოლებას კვლავ განვიხილავთ პარაგრაფ 1.2.-ში, განტოლება 1.2.14).

მეორე რიგის ფუქსის ზოგად განტოლებას აქვს სახე:

$$y'' + p(z)y' + q(z)y = 0,$$

$$\text{სადაც } p(z) = \frac{P(z)}{\prod_{k=1}^m (z - s_k)} \text{ და } q(z) = \frac{Q(z)}{\prod_{k=1}^m (z - s_k)^2}.$$

ამ შემთხვევაში, $p(z)$ და $q(z)$ რაციონალური ფუნქციებია, ხოლო $P(z)$ და $Q(z)$ მრავალწევრებია, რომელთა ხარისხები არ აღემატება, შესაბამისად, $m - 1$ -სა და $2(m - 1) = 2m - 2$ -ს.

თუ $p(z)$ და $q(z)$ ფუნქციებს დავწერთ შემდეგნაირად:

$$p(z) = \frac{p_0 z^{m-1} + p_1 z^{m-2} + \dots + p_m}{\prod_{k=1}^m (z - s_k)} \text{ და } q(z) = \frac{q_0 z^{2m-2} + q_1 z^{2m-3} + \dots + q_{2m}}{\prod_{k=1}^m (z - s_k)^2},$$

მაშინ გვექნება ფუქსის განტოლება, ზოგადი სახით:

$$y'' + \frac{p_0 z^{m-1} + p_1 z^{m-2} + \dots + p_m}{\prod_{k=1}^m (z - s_k)} y' + \frac{q_0 z^{2m-2} + q_1 z^{2m-3} + \dots + q_{2m}}{\prod_{k=1}^m (z - s_k)^2} y = 0.$$

მეორე რიგის ფუქსის რეგულარული განტოლება, $s_1, s_2, \dots, s_m$ განსაკუთრებული წერტილებით, არის განტოლება

$$y'' + \sum_{k=1}^m \frac{1 - (\rho_1^{(k)} + \rho_2^{(k)})}{z - s_k} y' + \left(\sum_{k=1}^m \frac{\rho_1^{(k)} \rho_2^{(k)} \prod_{j=1}^m (z - s_j)}{z - s_k} + Q_{m-2}(z) \right) \frac{y}{\prod_{k=1}^m (z - s_k)^2} = 0,$$

სადაც $Q_{m-2}(z)$ არის მრავალწევრი, რომლის ხარისხი არ აღემატება $m - 2$ -ს, ხოლო $\rho_1^{(k)}$ და $\rho_2^{(k)}$ არის *მახასიათებელი ექსპონენტები*.

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც ფუქსის განტოლებას აქვს სამი განსაკუთრებული წერტილი s_1, s_2 და s_3 . შესაბამისი განტოლება იქნება:

$$w'' + \left(\frac{A_1}{z - s_1} + \frac{A_2}{z - s_2} + \frac{A_3}{z - s_3} \right) w' + \left(\frac{B_1}{z - s_1} + \frac{B_2}{z - s_2} + \frac{B_3}{z - s_3} \right) \frac{w}{(z - s_1)(z - s_2)(z - s_3)} = 0, \quad (1.1.5)$$

სადაც $A_k = 1 - (\rho_1^{(k)} + \rho_2^{(k)})$ და $B_k = \rho_1^{(k)} \rho_2^{(k)} (s_k - s_{k-1})(s_k - s_{k+1})$.

აღნიშნულ განტოლებას ეწოდება *რიმანის განტოლება*, ხოლო გამოსახულება

$$w = p \left(\begin{matrix} s_1 & s_2 & s_3 \\ \rho_1^{(1)} & \rho_1^{(2)} & \rho_1^{(3)} \\ \rho_2^{(1)} & \rho_2^{(2)} & \rho_2^{(3)} \end{matrix}, z \right)$$

იქნება რიმანის სქემა შესაბამისი განტოლებისათვის.

z ცვლადის წილად-წრფივი გარდაქმნით:

$$z = \frac{\alpha t + \beta}{\gamma t + \delta},$$

სადაც $\alpha\delta - \beta\gamma \neq 0$, შესაძლებელია განტოლების სამი, s_1 , s_2 და s_3 , განსაკუთრებული წერტილი გადავიდეს სამ განსხვავებულ, τ_1 , τ_2 და τ_3 , წერტილში, რომლის შესაბამისი რიმანის სქემა იქნება:

$$p \left(\begin{matrix} s_1 & s_2 & s_3 \\ \rho_1^{(1)} & \rho_1^{(2)} & \rho_1^{(3)} \\ \rho_2^{(1)} & \rho_2^{(2)} & \rho_2^{(3)} \end{matrix}, z \right) = p \left(\begin{matrix} \tau_1 & \tau_2 & \tau_3 \\ \rho_1^{(1)} & \rho_1^{(2)} & \rho_1^{(3)} \\ \rho_2^{(1)} & \rho_2^{(2)} & \rho_2^{(3)} \end{matrix}, t \right),$$

აქედან ჩანს, რომ ცვლადი არის t , ხოლო წერტილები არიან:

$$\tau_1 = \frac{\alpha s_1 + \beta}{\gamma s_1 + \delta}, \tau_2 = \frac{\alpha s_2 + \beta}{\gamma s_2 + \delta}, \tau_3 = \frac{\alpha s_3 + \beta}{\gamma s_3 + \delta}.$$

რადგან წილადწრფივი ასახვით შესაძლებელია ნებისმიერი სამი წერტილი გადავიდეს $0, 1, \infty$ წერტილში, ამიტომ, ბუნებრივია (1.1.5) განტოლებაში განსაკუთრებულ წერტილებად ავიღოთ ეს წერტილები [23], [39].

1.2. რეგულარულ განტოლებათა სისტემის ამონახსნთა სივრცის სტრუქტურა

განვიხილოთ წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა

$$\frac{dy}{dz} = B(z)y. \quad (1.2.1)$$

დავუშვათ $B(z)$ მატრიცული ფუნქცია ჰოლომორფულია $S = \{s_1, s_2, \dots, s_m\}$ დისკრეტული სიმრავლის დამატებაზე, ხოლო S კი $B(z)$ -ის განსაკუთრებულ წერტილთა სიმრავლეა. ასეთ შემთხვევაში ცნობილია, რომ (1.2.1) სისტემას, $z_0 \in X_m = \mathbb{CP}^1 \setminus S$ წერტილის მიდამოში, ყოველთვის აქვს n წრფივად დამოუკიდებელ ამონახსნთა სისტემა $y_1(z), y_2(z), \dots, y_n(z)$ და თითოეული გაგრძელებადია ნებისმიერი წირის გასწვრივ. თუ $\gamma_1, \gamma_2, \dots, \gamma_m$ -ით აღვნიშნავთ შეკრულ მარტივ წირებს, რომლებიც იწყებიან და მთავრდებიან z_0 რეგულარულ წერტილში, ერთხელ შემოუვლიან $s_1, s_2, \dots, s_m$

წერტილებს საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით და მთლიანად მდებარეობენ X_m მრავალსახეობაზე, მაშინ $Y = \{y_1(z), y_2(z), \dots, y_n(z)\}$ ამონახსნთა სისტემა გადავა სხვა $\tilde{Y}$ ამონახსნში, რომელიც Y -ს უკავშირდება ტოლობებით $Y = G_j \tilde{Y}$, სადაც G_j , $j = 1, \dots, m$, გადაუგვარებელი მუდმივი მატრიცებია. G_j , $j = 1, \dots, m$, მატრიცებს *მონოდრომიის მატრიცები* ეწოდებათ, ხოლო ქვეჯგუფს, რომელსაც ისინი წარმოქმნიან $GL_n(\mathbb{C})$ -ში, *მონოდრომიის ჯგუფი* ეწოდება [4], [8], [21-22]. G_j , $j = 1, \dots, m$ მონოდრომიის მატრიცები დამოკიდებულია γ_j , $j = 1, \dots, m$, წირების ჰომოტოპიის კლასებზე და ამრიგად, (1.2.1) დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა განსაზღვრავს ჰომომორფიზმს

$$\chi : \pi_1(\mathbb{CP}^1 \setminus S, z_0) \rightarrow GL_n(\mathbb{C}), \quad \chi[\gamma_j] = G_j, \quad 1, \dots, m, \quad (1.2.2)$$

$\mathbb{CP}^1 \setminus S$ კომპლექსური მრავალსახეობის ფუნდამენტურ, $\pi_1(\mathbb{CP}^1 \setminus S, z_0)$, ჯგუფსა და n -ური რიგის კომპლექსურ გადაუგვარებელ მატრიცთა ჯგუფს შორის. ე. ი. $\pi_1(\mathbb{CP}^1 \setminus S, z_0)$ ჯგუფის ანასახი, χ ჰომომორფიზმის დროს, არის (1.2.1) სისტემის შესაბამისი *მონოდრომიის ჯგუფი* [4],[22].

$z = 0$ წერტილში, (1.2.1) სისტემის ფუნდამენტურ მატრიცას $Y(z)$ აქვს სახე

$$Y(z) = M(z)z^E,$$

სადაც $M(z)$ მატრიცული ფუნქციაა ნული წერილის გაჩხვლევით მიდამოში 0 , გარდა ამისა, z^E მატრიცის a_{ij} ელემენტებს აქვთ სახე:

$$a_{ij} = \sum_{l=1}^n z^{\rho_l} P_{ij}^l(\ln(z)), \quad (1.2.3)$$

სადაც ρ_l -ები არიან E მატრიცის საკუთრივი მნიშვნელობები, $P_{ij}^l(\ln(z))$ მრავალწევრია $\ln(z)$ -ის მიმართ, რომლის ხარისხი არ აღემატება $n - 1$ -ს. ფუნდამენტური მატრიცის გამოსახულებაში გვაქვს მატრიცული ექსპონენტა:

$$z^E = \exp(E \ln(z)) = I + E \ln(z) + \dots + \frac{E^n \ln^n(z)}{n!} + \dots \quad [\text{იხ. [21]}]$$

რეგულარული განსაკუთრებული წერტილის მქონე სისტემის ამონახსნთა სივრცეზე ნორმირება განსაზღვრება შენდევნაირად: ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი ამონახსნი $y(\tilde{z})$ შესაძლებელია დაიწეროს სასრული ლოგარითმული ჯამის საშუალებით:

$$y(\tilde{z}) = \sum_{i,j \in \sigma} f_{ij}(z) \tilde{z}^{\rho_i} \ln(\tilde{z})^{b_j},$$

სადაც f_{ij} არის ლორანის მწკრივი, რომლის მთავარი ნაწილი სასრული რაოდენობის წევრებისაგან შედგება; ρ_i აკმაყოფილებს პირობას $0 \leq \operatorname{Re}(\rho_i) < 1$; b_j მთელი არაუარყოფითი რიცხვებია. $y(\tilde{z})$ ამონახსნის ნორმირება ნულში ნიშნავს, მთელ $i, j \in \sigma$ სიმრავლეზე, f_{ij} მწკრივების ნორმირების მინიმუმს, ხოლო $f_{ij}(z)$ ფუნქციის ნორმირება ნულში კი ნიშნავს, $z = 0$ წერტილში, ფუნქციის ნულის რიგის ან ფუნქციის პოლუსის რიგის, აღებული მინუსი ნიშნით, მნიშვნელობას ე. ი. $y(\tilde{z})$ ამონახსნის ნორმირება ნულში არის, $z = 0$ წერტილში, $f_{ij}(z)$ მწკრივების ნულის რიგების ან პოლუსის რიგების, აღებული მინუსი ნიშნით, მნიშვნელობებისაგან შედგენილი სიმრავლის მინიმუმი [4]. $\tilde{z}$ აღნიშავს, $z = 0$ წერტილის გაჩხვლევითი მიდამოს უნივერსალური დაფარვის ლოკალურ კოორდინატთა სისტემას (რომელიც შეესაბამება z -ს).

განსაზღვრება (ლეველის (Levelt) ბაზისი) [4]. (1.2.1) სისტემის ამონახსნთა X სივრცის $(e) = (e_1, \dots, e_n)$ ბაზისს, რომლისთვისაც 0 არის რეგულარული განსაკუთრებული წერტილი, ეწოდება *ლეველის ბაზისი*, თუ ამონახსნთა სივრცეზე განსაზღვრულია φ ფუნქცია:

$$\varphi : X \rightarrow \mathbb{Z} \cup \{\infty\},$$

რომელსაც ეწოდება *ნორმირება* (ვალუაცია) და აკმაყოფილებს პირობებს:

1. φ ნორმირება, (e) ბაზისის ელემენტებზე, ღებულობს თავის ყველა შესაძლო $\psi_1, \dots, \psi_m$ მნიშვნელობებს, $k_1, \dots, k_m$ ჯერადობების გათვალისწინებით;
2. $\varphi(e_{i+1}) \leq \varphi(e_i)$, $i = 1, \dots, n - 1$;

3. ამ ბაზისში, σ^* მონოდრომიის ოპერატორის შესაბამის G მატრიცას აქვს ზედა სამკუთხა სახე.

თუ (1.2.1) სისტემის ფუნდამენტური მატრიცაა Y , მაშინ $\sigma^* Y = YG$. ამასთან, თუ σ^* მონოდრომიის ოპერატორს აქვს ერთი საკუთრივი მნიშვნელობა, მაშინ შესაბამის ლეველის ბაზისს *ლეველის სუსტი ბაზისი*.

საზოგადოდ, ამონახსნთა X სივრცე იშლება პირდაპირ ჯამად - $X = X_1 \oplus \dots \oplus X_s$, სადაც $X_1, \dots, X_s$ შეესაბამებიან σ^* ოპერატორის წყვილ-წყვილად განსხვავებულ $\lambda^1, \dots, \lambda^s$ საკუთრივ მნიშვნელობებს. σ^* ოპერატორის შეზღუდვა X_i -ზე აღვნიშნოთ სიმბოლოთი σ_i^* . განვიხილოთ თითოეული X_i -ის შესაბამისი ლეველის ბაზისი. ბაზისს, რომელიც მიიღება X_i -ის, $i = 1, \dots, s$, შესაბამისი ლეველის ბაზისების გაერთიანებით, ეწოდება *ლეველის სუსტი ბაზისი*.

ვთქვათ $\varphi(e_l) = \varphi^l$. $A = \text{diag}(\varphi^1, \varphi^2, \dots, \varphi^n)$ სიმბოლოთი აღვნიშნოთ მთელ რიცხვებიანი დიაგონალური მატრიცი, რომლის დიაგონალური ელემენტები არიან ამ ბაზისის ნორმირებები. მაშინ მატრიც-ფუნქციები, $z^A G z^{-A}$ და $z^A E z^{-A}$, ჰოლომორფულია $z = 0$ წერტილში, ხოლო $z^A \tilde{z}^E z^{-A}$ მატრიცული ფუნქციის ნორმირება, $z = 0$ წერტილში, ტოლია ნულის, სადაც

$$E = \frac{1}{2\pi i} \ln(G).$$

მართლაც, მატრიცებს G და E , აქვთ ზედა სამკუთხა სახე, (e) ბაზისის ნორმირებისათვის შესრულებულია უტოლობა $k \leq m$, $\varphi^m \leq \varphi^k$. განვიხილოთ ნამრავლი $z^A C z^{-A}$, სადაც $C = (c_{km})$ ზედა სამკუთხა მატრიცაა, მაშინ ამ $z^A C z^{-A}$ ნამრავლის ელემენტებია $\tilde{c}_{km}$:

$$\tilde{c}_{km} = c_{km} z^{\varphi^k - \varphi^m}, \quad k \leq m,$$

$$\tilde{c}_{km} = 0, \quad k > m.$$

თუ C -ს ნაცვლად განვიხილავთ მატრიცებს, $C = G$ და $C = E$, მივიღებთ ზემოთ თქმულის დამტკიცებას. მეორე მხრივ,

$$\tilde{z}^E = \exp(E \ln(\tilde{z})) = I + E \ln(\tilde{z}) + \dots + \frac{E^n \ln^n(\tilde{z})}{n!} + \dots,$$

$\varphi(\tilde{z}^E) \geq 0$, $z^A \tilde{z}^E z^{-A}$ მატრიცის ყველა დიაგონალური ელემენტი ტოლია $\tilde{z}^{\rho_i}$, $i = 1, \dots, n$ და $\varphi(\tilde{z}^{\rho_i}) = 0$.

თეორემა 1.2.1 [4], [22]. (1.2.1) სისტემის ამონახსნთა X სივრცის ფუნდამენტური $Y_e(\tilde{z})$ მატრიცისათვის, რომელიც აგებულია ლეველის (e) ბაზისში, $z = 0$ წერტილის გაჩვენებული $\dot{O}$ მიდამოში, სამართლიანია ტოლობა:

$$Y_e(\tilde{z}) = U(z) z^A \tilde{z}^E, \quad (1.2.4)$$

სადაც $U(z)$ არის ჰოლომორფული და ნული წერტილის $\dot{O}$ მიდამოში შეზღუდული მატრიცული ფუნქცია.

დამტკიცება: ვთქვათ $r = \max_i \{\operatorname{Re}(\rho_i)\}$, $0 < \varepsilon < (1 - r)/2$. ჰოლომორფულობის დასამტკიცებლად საკმარისია ვაჩვენოთ, რომ

$$\lim_{z \rightarrow 0} U(z) \tilde{z}^{r+2\varepsilon} = 0.$$

გვაქვს ტოლობები

$$U(z) \tilde{z}^{r+2\varepsilon} = Y_e(\tilde{z}) \tilde{z}^{-E} z^{-A} \tilde{z}^{r+2\varepsilon} = N_1(\tilde{z}) N_2(\tilde{z}),$$

სადაც

$$N_1(\tilde{z}) = Y_e(\tilde{z}) \tilde{z}^{-A+\varepsilon I} \text{ და } N_2(\tilde{z}) = z^A \tilde{z}^{-E} z^{-A} \tilde{z}^{r+\varepsilon}.$$

რადგან $N_1(\tilde{z})$ მატრიცის j -ური სვეტი არის

$$e_j(\tilde{z}) \tilde{z}^{-\varphi(e_j)+\varepsilon},$$

ამის გამო, ნორმირების განსაზღვრებიდან მივიღებთ

$$\lim_{z \rightarrow 0} N_1(\tilde{z}) = 0.$$

მაგრამ, r -ის შერჩევის საშუალებით მივიღებთ, რომ მატრიცა $\tilde{z}^{-E+rI}$ მიიღებს (1.2.3) სახეს (ρ_i -ი შეიცვლება $r - \rho_i \geq 0$ -ით). ამის გამო, $\varphi(z^A \tilde{z}^{E+rI} z^{-A}) = 0$. აქედან მივიღებთ, რომ

$$\lim_{z \rightarrow 0} N_2(\tilde{z}) = \lim_{z \rightarrow 0} z^A \tilde{z}^{E+I} z^{-A} \tilde{z}^E = 0.$$

აქვე აღვნიშნოთ, რომ z^E მატრიცის a_{ij} ელემენტებს აქვთ სახე

$$a_{ij} = \sum_{l=1}^n z^{\rho_l} P_{ij}^l(\ln(z)), \quad (1.2.5)$$

სადაც ρ_l -ები არიან E მატრიცის საკუთრივი მნიშვნელობები, $P_{ij}^l(\ln(z))$ მრავალწევრია $\ln(z)$ -ის მიმართ, რომლის ხარისხიც არ აღემატება $n - 1$ -ს.

თეორემა 1.2.2 [4], [22]. (1.2.1) სისტემა, $z = 0$ რეგულარული განსაკუთრებული წერტილით, არის ფუქსის ტიპის სისტემა $z = 0$ წერტილში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც (1.2.1) სისტემის ამონახსნთა X სივრცის $Y_e(\tilde{z})$ ფუნდამენტური მატრიცისათვის, რომელიც აგებულია ლეველის (e) ბაზისში, სამართლიანია წარმოდგენა

$$Y_e(\tilde{z}) = U(z) z^A \tilde{z}^E,$$

სადაც $U(z)$ მატრიცა ჰოლომორფულად შებრუნებადია ნულის გაჩხვლეტილ მიდამოში $\dot{0}$.

დამტკიცება: ჯერ დავამტკიცოთ საკმარისობა. შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნა

$$L(z) = A + z^A E z^{-A}, \quad L(0) = \lim_{z \rightarrow 0} (A + z^A E z^{-A}).$$

ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ (რომელიც სამართლიანია როგორც ლეველის, ისე ლეველის სუსტი ბაზისისათვის) $L(z)$ მატრიც-ფუნქცია ჰოლომორფულია ნულის გაჩხვლეტილ $\dot{0}$ მიდამოში, ზედა სამკუთხაა, რომლის დიაგონალი ემთხვევა $A + E$ მატრიცის დიაგონალს. $L(z)$ მატრიცის დიაგონალური ელემენტები აღვნიშნოთ სიმბოლოებით:

$$\beta^j = \varphi^j + \rho^j, \quad j = 1, \dots, n,$$

მათ ეწოდებათ (1.2.1) სისტემის *მახასიათებლები* ნულში.

რადგან მატრიცა $Y_e(\tilde{z})$ არის მატრიცული განტოლების

$$\frac{dY_e}{dz} = B(z)Y_e, \quad (1.2.6)$$

ამონახსნი, ამიტომ

$$B(z) = \frac{dY_e}{dz} Y_e^{-1} = \frac{dU}{dz} U^{-1} + \frac{U}{z} L(z) U^{-1} \quad (1.2.7)$$

აქედან გამომდინარე, $zB(z)$ მატრიცა ჰოლომორფულია $z = 0$ წერტილში და (1.2.1) სისტემა არის ფუქსის 0 წერტილში. საკმარისობა ნაჩვენებია.

ახლა დავამტკიცოთ აუცილებლობა. განვიხილოთ ლეველის ბაზისი. ამ შემთხვევაში E მატრიცას აქვს $E = \text{diag}(E_1, \dots, E_s)$ ბლოკურ დიაგონალური სახე, სადაც, თავის მხრივ, ნებისმიერი i -თვის, სრულდება ტოლობა

$$E_i = \rho^i I + N_i, \quad (1.2.8)$$

N_i ზედა სამკუთხა ნილპოტენტური მატრიცაა. R -ით აღვნიშნოთ მატრიცა $R = \text{diag}(\rho^1 I, \dots, \rho^s I)$. მატრიცები R და E კომუტირებენ. აქედან გამომდინარე, ამ მატრიცების გადამრავლება დადის ბლოკების გადამრავლებაზე, ხოლო R მატრიცის ყოველი ბლოკი არის სკალარული მატრიცი.

A მატრიცის ნორმირება შესაძლებელია დაიწეროს ისეთი $A = \text{diag}(A_1, \dots, A_s)$ ბლოკური სახით, რომ ყოველ ბლოკს ექნება სახე

$$A_i = \begin{pmatrix} \psi_i^1 I & 0 & \dots & 0 \\ 0 & \psi_i^2 I & \dots & 0 \\ \dots & \dots & \dots & \dots \\ 0 & 0 & \dots & \psi_i^{m_i} I \end{pmatrix}, \quad (1.2.9)$$

სადაც $\psi_i^1 > \dots > \psi_i^{m_i}$.

$L(z)$ და $L(0)$ მატრიცები იმ ზომის ბლოკებად დავყოთ, როგორც არის E მატრიცის შემთხვევაში, ხოლო E_i , $L_i(z)$, $L_i(0)$ მატრიცები კი იმ ზომის ბლოკებად დავყოთ, როგორც არის A_i მატრიცის შემთხვევაში, მივიღებთ:

$$E_i = \begin{pmatrix} E_{11}^i & E_{12}^i & \dots & E_{1m_i}^i \\ 0 & E_{22}^i & \dots & E_{2m_i}^i \\ \dots & \dots & \dots & \dots \\ 0 & 0 & \dots & E_{m_i m_i}^i \end{pmatrix},$$

$$L_i(z) = \begin{pmatrix} \psi_i^1 I + E_{11}^i & z^{\psi_i^1 - \psi_i^2} E_{12}^i & \dots & z^{\psi_i^1 - \psi_i^{m_i}} E_{1m_i}^i \\ 0 & \psi_i^2 I + E_{22}^i & \dots & z^{\psi_i^2 - \psi_i^{m_i}} E_{2m_i}^i \\ \dots & \dots & \dots & \dots \\ 0 & 0 & \dots & \psi_i^{m_i} I + E_{m_i m_i}^i \end{pmatrix}, \quad (1.2.10)$$

$$L_i(0) = \begin{pmatrix} \psi_i^1 I + E_{11}^i & 0 & \dots & 0 \\ 0 & \psi_i^2 I + E_{22}^i & \dots & 0 \\ \dots & \dots & \dots & \dots \\ 0 & 0 & \dots & \psi_i^{m_i} I + E_{m_i m_i}^i \end{pmatrix}.$$

ვთქვათ (1.2.6) სისტემა არის ფუქსის ტიპის ნულ წერტილში, მაშინ $B(z) = B_0(z)/z$, სადაც $B_0(z)$ პოლომორფულია ნულში. (1.2.6) და (1.2.7)-დან, ამ შემთხვევებში მივიღებთ:

$$B_0(z)U(z) = z \frac{dU}{dz} + U(z)L(z), \quad B_0(0)U(0) = U(0)L(0) \quad (1.2.11)$$

აუცილებლობას დავამტკიცებთ საწინააღმდეგოს დაშვების მეთოდით. დავუშვათ $\det U(0) = 0$ და განვიხილოთ $U(0)$ მატრიცის $\text{Ker} U(0)$ ბირთვი. ე. ი. ყველა ვექტორი $\mathbb{C}^n$ -დან, რომლებიც $U(0)$ მატრიცას გადაჰყავს ნულში. ბოლო (1.2.11) დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს, რომ $L(0)$ წრფივი ასახვა $\text{Ker} U(0)$ -ს გადასახავს თავის თავში. $c \in \text{Ker} U(0)$ და c -თი აღვნიშნოთ $L(0)$ ასახვის საკუთრივი ვექტორი, მაშინ $L(0)c = c\beta_1^l$, სადაც $\beta_1^l = \varphi^l + \psi_1^l$ რომელიმე i -სა და l -თვის. იგივე $L(0)$ მატრიცისათვის (1.2.10)-დან მივიღებთ, რომ c ვექტორს აქვს შემდეგი ბლოკური სტრუქტურა:

$$c = \begin{pmatrix} 0 \\ \cdot \\ \cdot \\ 0 \\ c_i \\ 0 \\ \cdot \\ \cdot \\ \cdot \\ 0 \end{pmatrix}, \quad c_i = \begin{pmatrix} 0 \\ \cdot \\ \cdot \\ 0 \\ c_i^l \\ 0 \\ \cdot \\ \cdot \\ \cdot \\ 0 \end{pmatrix}, \quad c_i^l = \begin{pmatrix} d_1 \\ \cdot \\ \cdot \\ \cdot \\ d_t \end{pmatrix},$$

სადაც t არის $L_i(0)$ მატრიცის $\psi_i^l I + E_{ll}^i$ ბლოკის განზომილება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, c ვექტორის არანულოვანი კომპონენტები მდებარეობენ იგივე ნომრის სტრიქონებში, რა ნომერიც აქვთ მითითებულ $L(0)$ მატრიცის ბლოკს.

$L(0)$ მატრიცის ბლოკური სახიდან გამომდინარეობს, რომ

$$\tilde{z}^{A+R} c = \tilde{z}^{L(0)}, \quad c = \tilde{z}^{\beta_i^l} c.$$

განვიხილოთ $y_c = Y_e c$ ამონახსნი. c ვექტორის სახიდან გამომდინარეობს, რომ $\varphi(y_c) = \psi_i^l$. ვაჩვენებთ, რომ $\varphi(y_c) > \psi_i^l$ და მივალთ წინააღმდეგობამდე (რომლისგანაც გამომდინარეობს, რომ წინადადება $U(0)$ მატრიცის გადაგვარებულობის შესახებ, არის მცდარი).

$\tilde{E}$ სიმბოლოთი აღვნიშნოთ მატრიცა $E - R$. (1.2.8)-დან გამომდინარეობს, რომ მატრიცა $\tilde{E} = \text{diag}(N_1, \dots, N_s)$ ნილპოტენტურია. გავითვალისწინოთ, რომ E და R მატრიცები კომუტირებენ, ვექტორ-ფუნქცია $\tilde{z}^{-\beta_i^l} y_c$ წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} \tilde{z}^{-\beta_i^l} y_c &= Y_e \tilde{z}^{-\beta_i^l} c = U(z) z^A \tilde{z}^E \tilde{z}^{-A-R} c = U(z) z^A \tilde{z}^{\tilde{E}} z^{-A} c = U(z) \left(\sum_{k=0}^{n-1} \frac{1}{k!} \ln^k \tilde{z} (z^A \tilde{z}^{\tilde{E}} z^{-A})^k \right) c = \\ &= U(z) \left(\sum_{k=0}^{n-1} \frac{1}{k!} \ln^k \tilde{z} (L(z) - A - R)^k \right) c = U(z) \left(\sum_{k=0}^{n-1} \frac{1}{k!} \ln^k \tilde{z} (L(0) - A - R + O(z))^k \right) c = \\ &= U(z) \left(I + O(z \ln^{n-1} \tilde{z}) + \sum_{k=0}^{n-1} \frac{1}{k!} \ln^k \tilde{z} (L(0) - A - R + O(z))^k \right) c = \end{aligned}$$

$$= U(z)c + O(z \ln^{n-1} \bar{z})c = U(0)c + O(z \ln^{n-1} \bar{z})c = O(z \ln^{n-1} \bar{z}),$$

რადგან

$$(L(0) - A - R)c = 0, U(0)c = 0.$$

ამის გამო, ნებისმიერი $\lambda < \psi_i^1 + 1$ რიცხვისათვის მივიღებთ:

$$y_c(\bar{z})\bar{z}^{-\lambda} = y_c(\bar{z})\bar{z}^{-\psi_i^1-1+\varepsilon} = y_c(\bar{z})\bar{z}^{-\rho^i-\psi_i^1-1+\varepsilon} = O(z \ln^{n-1} \bar{z})\bar{z}^{\rho^i-1+\varepsilon},$$

სადაც $\varepsilon > 0$ და $\operatorname{Re}(\rho^i - 1 + \varepsilon) > -1$. ამის გამო, $y_c(\bar{z})\bar{z}^{-\lambda} \rightarrow 0$, როდესაც $z \rightarrow 0$. აქედან გამომდინარე გვაქვს, $\varphi(y_c) \geq \psi_i^1 + 1$. რაც ეწინააღმდეგება დაშვებას $\varphi(y_c) = \psi_i^1$. მიღებული წინააღმდეგობა ნიშნავს, რომ წინადადება $U(0)$ მატრიცის გადაგვარებულობის შესახებ, არ არის მართებული, ე. ი. $U(z)$ ჰოლომორფულად შებრუნებადია ნულში.

ნებისმიერი ლეველის ბაზისისათვის, ამ თეორემის მტკიცება გამომდინარეობს თეორემა 1.2.1-დან და იმ ფაქტიდან, რომ წარმოდგენაში

$$Y'(\bar{z}) = U'(z)z^{A'}\bar{z}^{E'},$$

ლეველის ბაზისისათვის (ამ შემთხვევაში ყველა მატრიცა აღვნიშნეთ შტრიხებით, რომ ეს შემთხვევა განგვესხვავებინა ლეველის სუსტი ბაზისის შესაბამისი შემთხვევისაგან) სამართლიანია უტოლობა $\operatorname{tr} A' \geq \operatorname{tr} A$. მართლაც, ბოლო უტოლობიდან გამომდინარეობს, რომ $\det U'(z)$ ჰოლომორფული ფუნქციის ნულის რიგი, წერტილში ნული, არ აღემატება $\det U(z)$ ნულის რიგს (რადგან $Y' = YS$ და $\det Y' = \det Y \det S$, $\det S \neq 0$), მაგრამ დამტკიცებულის გამო, $\det U(0) \neq 0$, ე. ი. $U'(z)$ მატრიცა ჰოლომორფულად შებრუნებადია ნულში.

ფუქსის სისტემის შემთხვევაში, (1.2.4) დაშლაში მონაწილე რიცხვებს $\beta^j = \varphi^j + \rho^j$, $j = 1, \dots, n$, ეწოდებათ საბაზისო ამონახსნის ასიმპტოტიკის მახასიათებლები ნულ წერტილში (ამის გამო მათ ეწოდებათ (1.2.1) სისტემის მახასიათებლები ნულ წერტილში).

(1.2.11) დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს, რომ

$$\frac{dy}{dz} = \frac{B_0(z)}{z} y \quad (1.2.12)$$

ფუქსის სისტემის მახასიათებლები ნულ წერტილში ემთხვევიან $B_0(0)$ მატრიცის საკუთრივ მნიშვნელობებს.

შენიშვნა. ფუქსის სისტემის მონოდრომიის მატრიცების პოვნა, სისტემის კოეფიციენტების საშუალებით, ე. წ. არარეზონანსულ შემთხვევებში (ზემოთ მოყვანილ სისტემას ეწოდება არა რეზონანსული, თუ $B_0(0)$ მატრიცის არცერთი საკუთრივი მნიშვნელობა არ განსხვავდება ნატურალური რიცხვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ რომელიმე ორი საკუთრივი მნიშვნელობის სხვაობა ნატურალური რიცხვია, სისტემას ეწოდება *რეზონანსული* ნულში) არაა რთული.

წინადადება 1.2.1. [22] თუ (1.2.12) ფუქსის სისტემა არის არარეზონანსული ნულში, მაშინ ამ სისტემის მონოდრომიის მატრიცები მსგავსია $\exp(2\pi i B_0(0))$ მატრიცის.

დამტკიცება. განვიხილოთ კვლავ (1.2.4) დაშლა ლეველის სუსტ (e) ბაზისში. (1.2.9) წარმოდგენაში ყოველი A_i სკალარია ე. ი. $\psi_i^1 = \dots = \psi_i^{m_i}$, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვაობა

$$\beta_i^1 - \beta_i^{m_i} = \psi_i^1 + \rho^i - \psi_i^{m_i} - \rho^i = \psi_i^1 - \psi_i^{m_i}$$

არის ნატურალური რიცხვი. ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ β_i^j რიცხვები არიან $B_0(0)$ მატრიცის საკუთრივი რიცხვები, ამიტომ (1.2.12) სისტემა გამოვა რეზონანსული ნულში. აქედან გამომდინარე, A და E კომუტირებენ, ამიტომ $L(0) = A + E$ ტოლობიდან და (1.2.11)-დან მივიღებთ:

$$B_0(0) = U(0)(A + E)U^{-1}(0),$$

$$\exp(2\pi i B_0(0)) = U(0)\exp(2\pi i(A + E))U^{-1}(0) = U(0)GU^{-1}(0).$$

თეორემა 1.2.1-ის საკმარისობის დამტკიცებიდან ადვილად გამომდინარეობს, რომ თუ (1.2.1) სისტემის რომელიმე (არა აუცილებლად ლეველის ბაზისის შესაბამისი) Y_e ფუნდამენტური მატრიცა წარმოდგენილია (1.2.4) ფორმით, სადაც $U(z)$ ნულში ჰოლომორფულად შებრუნებადია, A რაიმე მთელრიცხვებიანი დიაგონალური მატრიცაა,

E კი ნებისმიერი მატრიცაა და მატრიცული ფუნქცია $z^A E z^{-A}$ ჰოლომორფულია ნულში, მაშინ სისტემა (1.2.1) არის ფუქსის ტიპის.

ლეველის თეორია გამოვიყენოთ სკალარული, n რიგის განტოლების შემთხვევაში, რომელიც პარაგრაფ 1.1-ში განვიხილეთ. ყოველ ფუქსის განტოლებას, $z = 0$ განსაკუთრებული წერტილის მიდამოში აქვს სახე:

$$z^n u^{(n)} + z^{n-1} r_1(z) u^{(n-1)} + \dots + r_n(z) u = 0. \quad (1.2.13)$$

ამ განტოლებასთან ერთად განვიხილოთ ეილერის განტოლება:

$$z^n u^{(n)} + z^{n-1} r_1(0) u^{(n-1)} + \dots + r_n(0) u = 0. \quad (1.2.14)$$

ეილერის განტოლების ამონახსნი მიიღება შემდეგნაირად: განვიხილოთ *მახასიათებელი* განტოლება

$$\lambda(\lambda - 1) \dots (\lambda - n + 1) + \dots + \lambda(\lambda - 1) \dots (\lambda - n + i + 1) r_i(0) + \dots + r_n(0) = 0. \quad (1.2.15)$$

ყოველ k_i ჯერადობის მქონე λ_i ფესვს შეესაბამება ეილერის განტოლების, k_i რაოდენობის ამონახსნი $\tilde{z}^{\lambda_i} \ln^l(\tilde{z})$, $l = 0, \dots, k_i - 1$. (1.2.15) განტოლების λ_i ფესვები არიან ეილერის განტოლების ამონახსნის *ასიმპტოტიკის მაჩვენებლები* ნულში. ფუქსის განტოლება შეიძლება განვიხილოთ როგორც შესაბამისი *ეილერის განტოლების ჰოლომორფული დეფორმაცია* (რომლისთვისაც $r_i(0)$ რიცხვები იცვლებიან $r_i(z)$ ჰოლომორფული ფუნქციებით). (1.2.15) განტოლების ფესვები არიან (1.2.13) განტოლების ამონახსნის ასიმპტოტიკის მაჩვენებლები.

ლეველის თეორია უცვლელად გადადის ფუქსის სკალარულ განტოლებაზე. ერთადერთი განსხვავება არის ის, რომ (1.2.4) წარმოდგენაში, ფუქსის სკალარული განტოლებისათვის, რომელსაც გადავწერთ

$$Y_n(\tilde{z}) = U_n(\tilde{z}) \tilde{z}^A \tilde{z}^E$$

სახით, მატრიცები არიან $1 \times n$ ზომის ე. ი. ვექტორებია. Y_n მატრიცის $e_1, \dots, e_n$ ელემენტები არიან (1.2.13) განტოლების ამონახსნთა სივრცის ლეველის (სუსტი)

ბაზისის შემადგენელი ელემენტები, ხოლო $U_n(\tilde{z})$ მატრიცის ელემენტები ჰოლომორფულია ნულში.

შემოვიღოთ აღნიშვნა:

$$y^1 = u, y^2 = zu', \dots, y^n = z^{n-1}u^{(n-1)}.$$

(1.2.13) განტოლებიდან ფუქსის სისტემაზე გადასვლა ხდება

$$B_0(z) = \begin{pmatrix} 0 & 1 & 0 & 0 & \dots & 0 \\ 0 & 1 & 1 & 0 & \dots & 0 \\ 0 & 0 & 2 & 1 & \dots & 0 \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ -r_n & -r_{n-1} & -r_{n-2} & -r_n & \dots & (n-1) - r_1 \end{pmatrix} \quad (1.2.16)$$

კოეფიციენტების მატრიცით. მტკიცდება, რომ (1.2.13) განტოლებისა და სისტემების (1.2.12) ლეველის მახასიათებლები ემთხვევიან, სადაც $B_0(z)$ მოცემულია (1.2.16) სახით [4], [21]. გარდა ამისა, (1.2.13) ფუქსის განტოლების β^j ლეველის მახასიათებლები ემთხვევიან (1.2.15) მახასიათებელი განტოლების ფესვებს [4].

თავი II. რეგულარულ განტოლებათა სისტემისაგან ინდუცირებული ვექტორული ფიბრაცია და მისი კანონიკური გაგრძელება

2.1. ჰოლომორფული ფიბრაცია ბმულობით, დამხმარე დებულებები და განმარტებები

ამ პარაგრაფში მოვიყვანთ სტანდარტულ ფაქტებს მრავალსახეობაზე, კოციკლების საშუალებით მთვარი და ვექტორული ფიბრაციების აგების შესახებ და მათ მუდმივად გამოვიყენებთ მომავალში, მსჯელობების დროს [5],[7-8], [14-15], [24], [35].

P მთავარი ფიბრაცია, *G* ჯგუფის სტრუქტურით, ეწოდება ოთხეულს $P = (P_E, B, \pi, G)$, სადაც

1. P_E და B მრავალსახეობებია; G ლის ჯგუფია, რომელიც მარჯვნიდან მოქმედებს P_E მრავალსახეობაზე, ხოლო ასახვა $\pi : P_E \rightarrow B$, არის სურექცია;
2. B სიმრავლის ყოველი x ელემენტისათვის, არსებობს x ელემენტის მიდამო U და არსებობს ჰომეომორფიზმი, $f_U : \pi^{-1}(U) \rightarrow U \times G$, ისე, რომ

$$\begin{array}{ccc} \pi^{-1}(U) & \xrightarrow{f_U} & U \times G \\ \pi \searrow & & \swarrow pr \\ & U & \end{array}$$

დიაგრამა კომუტაციურია. გარდა ამისა, სრულდება ე. წ. ეკვივარიანტულობის თვისება - $f_U(\tilde{x}g) = f_U(\tilde{x})g$, $\forall \tilde{x} \in \pi^{-1}(U)$ და $\forall g \in G$.

P_E -ს ეწოდება ფიბრაციის ტოტალური სივრცე, B -ს ფიბრაციის ბაზა, π -ს პროექცია, $\pi^{-1}(x)$ -ს ფიბრაციის ფენა, $\pi^{-1}(x) \cong G$. მეორე თვისება ნიშნავს იმას, რომ P ლოკალურად ტრივიალურია.

თუ ყველა მრავალსახეობა და ყველა ასახვა, რომელიც მონაწილეობს ფიბრაციის განსაზღვრებაში, გლუვია (ანალიზურია, ჰოლომორფულია), მაშინ P ფიბრაციას ეწოდება გლუვი (ანალიზური, ჰოლომორფული) ფიბრაცია.

ვთქვათ $U_i \cap U_j \neq \emptyset$, განხილეთ კომპუტაციური დიაგრამა

$$\begin{array}{ccccc}
 (U_i \cap U_j) \times G & \xleftarrow{f_i} & \pi^{-1}(U_i \cap U_j) & \xrightarrow{f_j} & (U_i \cap U_j) \times G \\
 & \searrow \text{pr} & \downarrow \pi & \swarrow \text{pr} & \\
 & & U_i \cap U_j & &
 \end{array}$$

$$f_j \circ f_i^{-1} : (U_i \cap U_j) \times G \rightarrow (U_i \cap U_j) \times G$$

ასახვას (x, e) წერტილი გადაჰყავს $(x, g^*(x))$ წერტილში. ეკვივარიანტულობის თვისებიდან გამომდინარეობს, რომ ყოველი $x \in B$ და $g \in G$ სამართლიანია თანადობა $(x, g) = (x, e)g \rightarrow (x, g^*(x))g = (x, g^*(x)g)$. $g_{ji}(x)$ -ით აღვნიშნოთ $g^*(x)$. ამრიგად, დავამტკიცეთ, რომ

$$f_j \circ f_i^{-1}(x, g) \equiv (x, g_{ji}(x)g), \text{ სადაც } g_{ji} : U_i \cap U_j \rightarrow G.$$

ასახვის აგებიდან გამომდინარეობს, რომ $g_{ij}(x) = (g_{ji}(x))^{-1}$, ყოველი x -თვის, $x \in U_i \cap U_j$.

რადგან $f_j \circ f_i^{-1} \circ f_i \circ f_j^{-1} = \text{id}$, ამიტომ $(x, g) = f_j \circ f_i^{-1} \circ f_i \circ f_j^{-1}(x, g) = f_j \circ f_i^{-1}(x, g_{ij}g) = (x, g_{ij}g_{ij}g)$, ე. ი. $g_{ji}(x)g_{ij}(x) = e$.

თუ $U_i \cap U_j \cap U_k \neq \emptyset$, რადგან $f_j \circ f_i^{-1} \circ f_i \circ f_k^{-1} \circ f_k \circ f_j^{-1} = \text{id}$, მივიღებთ, რომ

$$\begin{aligned}
 (x, g) &= f_j \circ f_i^{-1} \circ f_i \circ f_k^{-1} \circ f_k \circ f_j^{-1}(x, g) = f_j \circ f_i^{-1} \circ f_i \circ f_k^{-1}(x, g_{kj}g) = f_j \circ f_i^{-1}(x, g_{ik}g_{kj}g) = \\
 &= (x, g_{ji}g_{ik}g_{kj}g).
 \end{aligned}$$

საბოლოოდ გვექნება $g_{ji}g_{ik}g_{kj} = e$. ამრიგად, თუ P მთავარი ფიბრაციისათვის $\{U_i\}$ არის B ბაზის დაფარვა და $\{f_i\}$ ფიქსირებული ტრივიალიზაციაა U_i -ზე, მაშინ შეიძლება ავაგოთ ასახვები რომლებსაც გააჩნია თვისებები

$$g_{ij}(x) = (g_{ji}(x))^{-1} \text{ და } g_{ij}(x)g_{jk}(x)g_{ki}(x) = e$$

და პირიქით, ნებისმიერი B მრავალსახეობის $\{U_i\}$ დაფარვით და ნებისმიერი ასახვებით, რომელთაც აქვთ აღნიშნული ორი თვისება, შესაძლებელია აიგოს მთავარი $\tilde{Q} = (\tilde{Q}_E, B, \pi', G)$ ფიბრაცია.

$\{g_{ij}\}$ ასახვების ოჯახს ეწოდება P ფიბრაციის კოციკლი. კოციკლი ცალსახად არ განისაზღვრავს ფიბრაციას. ის დამოკიდებულია დაფარვებსა და $\{f_i\}$ ლოკალური ტრივიალიზაციების არჩევაზე.

n რანგის F ვექტორული ფიბრაცია ეწოდება სამეულს $F = (F_E, B, \pi)$, სადაც

1. F_E და B მრავალსახეობებია ; ასახვა $\pi : F_E \rightarrow B$, არის სურექცია;
2. B სიმრავლის ყოველი x ელემენტისათვის, სიმრავლე $\pi^{-1}(x)$ წრფივი სივრცეა;
3. B სიმრავლის ყოველი x ელემენტისათვის, არსებობს x ელემენტის მიდამო U და არსებობს ჰომეომორფიზმი, $\tilde{f}_U : \pi^{-1}(U) \rightarrow U \times \mathbb{R}^n (\mathbb{C}^n)$, ისე, რომ

$$\begin{array}{ccc} \pi^{-1}(U) & \xrightarrow{\tilde{f}_U} & U \times \mathbb{R}^n (\mathbb{C}^n) \\ & \searrow \pi \quad \swarrow pr & \\ & U & \end{array}$$

დიაგრამა კომუტაციურია და ასახვა $\tilde{f}_U^x : \pi^{-1}(x) \rightarrow \{x\} \times \mathbb{R}^n (\mathbb{C}^n) \rightarrow \mathbb{R}^n (\mathbb{C}^n)$ არის წრფივი სივრცეების იზომორფიზმი. $\tilde{f}_U^x$ - არის $\tilde{f}_U$ ასახვის შეზღუდვა $\pi^{-1}(x)$ -ზე.

F_E -ს ეწოდება ფიბრაციის ტოტალურ სივრცე, B -ს ფიბრაციის ბაზა, π -ს პროექცია, $\pi^{-1}(x)$ -ს ფიბრაციის ფენა, $\pi^{-1}(x) \cong \mathbb{R}^n (\mathbb{C}^n)$. მესამე თვისება ნიშნავს იმას, რომ F ლოკალურად ტრივიალურია.

თუ ყველა ასახვა, რომელიც მონაწილეობს ვექტორული ფიბრაციის განსაზღვრებაში, უწყვეტია (გლუვია, ანალიზურია და ა. შ.), მაშინ F ვექტორულ ფიბრაციას ეწოდება ტოპოლოგიურად უწყვეტი (გლუვი, ანალიზური და ა. შ.) ფიბრაცია. ჩვენ ვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ასახვები არის გლუვი და ანალიზური.

განვიხილოთ ფიბრაციის აგების კონსტრუქცია არაკომპაქტურ რიმანის ზედაპირზე, თავისი ფუნდამენტური ჯგუფის წარმოდგენის საშუალებით.

ვთქვათ რიმანის სფეროზე მოცემულია სასრული რაოდენობის წერტილები $s_1, s_2, \dots, s_m$, აღვნიშნოთ ეს სიმრავლე $S = \{s_1, s_2, \dots, s_m\}$ -ით და განვიხილოთ წარმოდგენა:

$$\chi : \pi_1(\mathbb{CP}^1 \setminus S, z_0) \rightarrow GL(n, \mathbb{C})$$

$$\chi(\gamma_i) = G_i, \forall i = 1, \dots, m,$$

სადაც γ_i არის წირი, რომლის საწყისი და საბოლოო წერტილი არის z_0 და შემოუვლის მხოლოდ ერთ s_i წერტილს, საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით, $i \in \{1, \dots, m\}$. განვიხილოთ მრავალსახეობა $X_m = \mathbb{CP}^1 \setminus S$ და ამ მრავალსახეობის დაფარვა ბმული და ცალადბმული, ღია სიმრავლეებით ისე, რომ თუ ორი მათგანის თანაკვეთა არაცარიელია, მაშინ მათი თანაკვეთაც ბმული და ცალადბმულია. X_m -თვის ყოველთვის შესაძლებელია ასეთი დაფარვის მონახვა. თითოეული U_i ღია სიმრავლიდან ავირჩიოთ ერთი წერტილი და η_i გზით შევაერთოთ არჩეულ წერტილთან z_0 წერტილი. ეს გზები დავაფიქსიროთ. თუ $U_i \cap U_j \neq \emptyset$ განვიხილოთ გზა, რომელიც მდებარეობს სიმრავლეში $U_i \cup U_j$ და აერთებს U_i და U_j სიმრავლეებში მონიშნულ წერტილებს ე. ი. η_i და η_j მარყუჟების განსხვავებულ ბოლოებს. ეს გზა აღვნიშნოთ δ_{ij} -ით. განვიხილოთ $\eta_i \delta_{ij} \eta_j^{-1}$ მარყუჟი. ყოველ ასეთ მარყუჟს შეესაბამება ჰომოტოპიის კლასი და $\chi(\eta_i \delta_{ij} \eta_j^{-1}) = g_{ij}$ გადაუგვარებელი მატრიცა. ფიქსირებული η_i და η_j გზებისათვის g_{ij} მატრიცა არ არის დამოკიდებული δ_{ij} -ზე, რადგან ცალადბმული სიმრავლეებია როგორც დამფარავი სიმრავლეები, ასევე მათი თანაკვეთები.

$U_i \cap U_j$ სიმრავლის თითოეულ ელემენტს შევუსაბამოთ g_{ij} მატრიცა. ამ გზით მივიღებთ მუდმივ ასახვას $g_{ij} : U_i \cap U_j \rightarrow GL(n, \mathbb{C})$.

აგებიდან გამომდინარეობს, რომ $g_{ij} = g_{ji}^{-1}$ და რადგან $\delta_{ij} \delta_{jk} \delta_{ki}$ ნულის ჰომოტოპიურია, ანუ z_0 წერტილში მოჭიმვადია, მივიღებთ რომ $g_{ij} g_{jk} g_{ki} = 1$, ე. ი. g_{ij} მატრიცები შეგვიძლია განვიხილოთ როგორც გადასვლის ფუნქციები. ამრიგად, ავაგეთ კოციკლები, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ შეგვიძლია, ზოგადი კონსტრუქციის მიხედვით, ავაგოთ

მთავარი ფიზრაცია. კერძოდ, თუ $U_i \cap U_j \neq \emptyset$, მაშინ $U_i \cap U_j$ სიმრავლეზე საჭიროა წერტილების გაიგევება: თუ $(z, v) \in (U_i \cap U_j) \times \mathbb{C}^n$, მაშინ ელემენტი (z, v) გავაიგივოთ ელემენტთან $(z, g_{ij}v)$, თუ ამგვარ გაიგივებას მოვახდენთ, მაშინ g_{ij} კოციკლების პირობები $g_{ij} = g_{ji}^{-1}$ და $g_{ij}g_{jk}g_{ki} = 1$ ნიშნავს, რომ ასეთი გაიგივება კორექტულია და მიიღება მრავალსახეობა F , ბუნებრივი პროექცია $\pi : F \rightarrow \mathbb{CP}^1 \setminus S$ და სამეული $(F, \mathbb{CP}^1 \setminus S, \pi)$ იქნება n რანგის ვექტორული ფიზრაცია.

ვთქვათ ასახვა $s : \mathbb{CP}^1 \setminus S \rightarrow F$ არის კვეთა ე. ი. $\pi \circ s = \text{id}$. კვეთა ვექტორული ფუნქციის განზოგადებება. მართლაც, თუ U_i ღია სიმრავლეზე, s იქნება ფუნქცია, განსაზღვრული U_i -ზე, მნიშვნელობებით $\mathbb{CP}^1$ -ში. ნამდვილი კვეთის შემთხვევაში კი მოგვიწევს ვექტორული ფუნქციების გაიგივება, გარკვეული კანონზომიერებით, ყოველი U_i და U_j ღია სიმრავლეებისათვის, რომლებისთვისაც $U_i \cap U_j \neq \emptyset$. თუ $\mathbb{CP}^1$ -ის სტანდარტულ ბაზისში ჩავწერთ s კვეთას, მაშინ ყოველ U_i -ში გვექნება მისი დაშლა $y_i = (y_i^1, y_i^2, \dots, y_i^n)$.

g_{ij} -ს მუდმივობის გამო, კვეთების დიფერენცირებადობის წესი შეგვიძლია განვსაზღვროთ შემდეგნაირად: განვიხილოთ s კვეთა, U_i -ზე, ჩავწეროთ იგი სტანდარტულ ბაზისში და s -ის ∇_s დიფერენციალად გამოვაცხადოთ y_i ვექტორის დიფერენციალი dy_i , ე. ი. $\nabla_s \leftrightarrow dy_i$.

კონსტრუქციის შემდეგი ნაბიჯია თითოეული ასეთი დიფერენციალის გაიგივება ისე, რომ იგი გამოდგეს s გლობალური კვეთის დიფერენციალად. გაიგივება კვლავ g_{ij} კოციკლების საშუალებით უნდა მოხდეს და შესრულდეს ტოლობა $dy_j = g_{ij}dy_i$.

თუ ეს ტოლობა შესრულდა, მაშინ s კვეთის ნაწილებისაგან შესაძლებელი იქნება გლობალური კვეთის მიღება, რომელიც კორექტულად განსაზღვრული დიფერენციალი იქნება ე. ი. იმისათვის, რომ კვეთის დიფერენციალი ვიპოვოთ, საჭიროა კვეთის დიფერენციალი ვიპოვოთ ლოკალურად, შემდეგ მიღებული 1-ფორმები გავაიგივოთ, ხოლო ბოლოს კი შევამოწმოთ, აკმაყოფილებენ თუ არა ისინი გაიგივების კორექტულობის პირობას. რადგან g_{ij} კოციკლები მუდმივებია, კორექტულობის პირობა გამომდინარეობს $g_{ij}dy_j = dg_{ij}y_j$ ტოლობიდან, საიდანაც თავის მხრივ გამოდის, რომ g_{ij}

კოციკლი კორექტულად აიგივებს (აწებებს) dy_i და dy_j დიფერენციალებს U_i ო U_j სიმრავლეზე

$$g_{ji} dy_j = dy_i.$$

S კვეთის შესაბამისი დიფერენციალი აღვნიშნოთ ∇_s -ით. იმ კვეთებს, რომლებისთვისაც სრულდება ტოლობა $\nabla_s = 0$, ეწოდებათ *ჰორიზონტალური* კვეთები.

ფიბრაციისათვის კვეთების ჰორიზონტალურობა ნიშნავს $dy_i = 0$ ტოლობის შესრულებას. ამრიგად, *მოცემულია ∇ ბმულობა ნიშნავს, რომ მოცემულია კვეთის დიფერენცირების წესი, რაც ჩვენს შემთხვევაში, $dy_i = 0$ დიფერენციალური განტოლების მოცემის ექვივალენტურია.*

2.2. რიმანის სფეროზე, რეგულარული განტოლების, გლობალურ ამონახსნთა სივრცის, რიცხვითი მახასიათებლები

განვიხილოთ $\mathbb{CP}^1$ -ზე, გაფართოებულ კომპლექსურ სიბრტყეზე, n რანგის F ჰოლომორფული ვექტორული ფიბრაცია, ∇ მერომორფული ბმულობით. ბმულობის განსაკუთრებული წერტილები აღვნიშნოთ $s_1, s_2, \dots, s_m$ -ით. ვიგულისხმობთ, რომ ეს წერტილები, ∇ -სათვის, რეგულარული განსაკუთრებული წერტილებია და ∞ წერტილი ბმულობის ჰოლომორფულობის წერტილია.

ყოველი s_i , $i = 1, \dots, m$, განსაკუთრებული წერტილისათვის განვიხილოთ ამ წერტილის მიდამო $\dot{O}$ და F ფიბრაციის რაიმე ტრივიალიზაცია $\dot{O}$ -ზე. ლოკალური კვეთების შესაბამის ბაზისში, ∇ ბმულობა განსაზღვრავს დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას. განვიხილოთ განტოლებათა ეს სისტემა:

$$\frac{dy}{dz} = B(z)y. \quad (2.2.1)$$

პარაგრაფ 1.2.-ში განხილული ლოკალური თეორია, შეიძლება, გამოყენებულ იქნას (2.2.1) სისტემის მიმართ წერტილის O_i მიდამოში. შედეგად მივიღებთ შესაბამის მატრიცებს, ნორმირებებს, მაჩვენებლებს და ა. შ. ისინი ყველა დამოკიდებული იქნება i ინდექსზე და მათ აღვნიშნავთ Y_i (Y_e – ს ნაცვლად) U_i , A_i , E_i , ρ_i^j , φ_i^j , β_i^j , Y_i სიმბოლოებით, რითაც მივუთითებთ მათ დამოკიდებულებას ინდექსზე.

A_i და E_i მატრიცები და ρ_i^j , φ_i^j , β_i^j რიხვები არ არიან დამოკიდებულნი O_i -ზე ფიბრაციის ტრივიალიზაციის არჩევაზე, მაშინ როდესაც Y_i და U_i მატრიცები მარცხნიდან მრავლდებიან ჰოლომორფულად შებრუნებად მატრიცულ $\Gamma(z)$ ფუნქციაზე, $(\phi_1, \phi_2, \dots, \phi_n)$ ჰოლომორფული კვეთების ლოკალური ბაზისიდან $(\phi_1, \phi_2, \dots, \phi_n)\Gamma^{-1}$ ბაზისზე გადასვლისას. $\{\beta_i^j\}$ რიხვებს ეწოდებათ ∇ ბმულობის მაჩვენებლები s_i წერტილში.

განვიხილოთ F ტრივიალური ფიბრაციის შემთხვევა. ამ ფიბრაციის გლობალური ჰოლომორფული კვეთების ბაზისში ∇ ბმულობა განსაზღვრავს განტოლებათა სისტემას

$$dy = \omega y,$$

მთელ გაფართოებულ კომპლექსურ სიბრტყეზე.

B_i -ით აღვნიშნოთ ω მატრიცული დიფერენციალური 1-ფორმის ნაშთი s_i წერტილში. თუ სისტემა ფუქსის ტიპისაა, მაშინ

$$\omega = \sum_{i=1}^m \frac{B_i dz}{z - s_i}$$

ფორმა მერომორფულია $\mathbb{CP}^1$ რიმანის სფეროზე და აქედან გამომდინარე, კოეფიციენტთა (მატრიცების) ჯამი ნულია, ამიტომ z კოორდინატთა სისტემაში ფუქსის ტიპის სისტემა ღებულობს სახეს

$$\frac{dy}{dz} = \left(\sum_{i=1}^m \frac{B_i}{z - s_i} \right) y, \quad \sum_{i=1}^m B_i = 0.$$

შემდეგი თეორემები აკავშირებს სისტემის, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, ლოკალურ ლეველის ფილტრაციებს (უფრო ზუსტად მაჩვენებლებს), სხვადასხვა განსაკუთრებულ წერტილებში.

თეორემა 2.2.1 [4], [22]. (2.2.1) სისტემის, რომელსაც აქვს სასრული რაოდენობის განსაკუთრებული წერტილები $s_1, s_2, \dots, s_m$, ამონახსნთა X სივრცის ყველა მაჩვენებლების ჯამი არის მთელი რიცხვი და ის არ აღემატება ნულს:

$$\Sigma = \sum_{i=1}^m \sum_{j=1}^n \beta_i^j \leq 0.$$

სისტემა, სასრული რაოდენობის რეგულარული განსაკუთრებული წერტილებით, არის ფუქსის ტიპის $\mathbb{CP}^1$ -ზე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც

$$\Sigma = \sum_{i=1}^m \sum_{j=1}^n \beta_i^j = 0.$$

განვიხილოთ ფუქსის განტოლება, $s_1, s_2, \dots, s_m$ სასრული რაოდენობის განსაკუთრებული წერტილებით $\mathbb{CP}^1$ -ზე,

$$u^{(n)} + q_1(z)u^{(n-1)} + \dots + q_n(z)u = 0. \quad (2.2.2)$$

დებულება 2.2.1 (დამტკიცება იხ. [4]-ში) რიმანის სფეროზე, (2.2.2) n რიგის, m სასრული რაოდენობის განსაკუთრებული წერტილის მქონე, ფუქსის სკალარული დიფერენციალური განტოლება დამოკიდებულია

$$N_{eq} = \frac{(m-2)n(n+1)}{2} + n \quad (2.2.3)$$

თავისუფალ პარამეტრზე, ხოლო მისი შესაბამისი მონოდრომიის წარმოდგენა კი დამოკიდებულია

$$N_{mon} = n^2(m-2) + 1 \quad (2.2.4)$$

პარამეტრზე.

ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ მონოდრომიის წარმოდგენით, ფუქსის განტოლების (სკალარული) აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მონოდრომიისა და განტოლების თავისუფალ პარამეტრთა რაოდენობა ერთმანეთს ემთხვევა. ასეთ განტოლებებს უწოდებენ *აქსესორული პარამეტრებისაგან თავისუფალ განტოლებებს*. მის კერძო შემთხვევას განვიხილავთ მე-4 თავში.

თეორემა 2.2.2 [4], [21-22] (ფუქსის თანაფარდობა). რიმანის სფეროზე, სასრული რაოდენობის განსაკუთრებული $s_1, s_2, \dots, s_m$ წერტილების მქონე, ფუქსის სკალარული (2.2.2) განტოლების β_i^j მაჩვენებლებისათვის სამართლიანია ტოლობა

$$\sum_{i=1}^m \sum_{j=1}^n \beta_i^j = \frac{(m-2)n(n-1)}{2}, \quad (2.2.5)$$

კვლავ განვიხილოთ რიმანის სფეროზე, F ვექტორული ფიბრაცია, ∇ მერომორფული ბმულობით, რეგულარული განსაკუთრებული წერტილებითა და საკოორდინატო $\{U_i\}$, $\{f_i\}$, $\{g_{ij}\}$, $\{\omega^i\}$ აღწერით.

განსაზღვრება. F ფიბრაციის ხარისხი $c_1(F)$ ეწოდება დეტერმინანტული ფიბრაციის $|F|$ ბმულობის $|\nabla|$ ნაშთების ჯამს. დეტერმინანტული ფიბრაცია ეწოდება ერთგანზომილებიან ფიბრაციას, რომლის განმსაზღვრელი კოციკლები არიან $\{\det g_{ij}\}$ სკალარული ფუნქციები, $|\nabla|$ -ს ბმულობის ფორმები, ლოკალურად, არიან $\{\text{tr} \omega^i\}$.

შედეგი 2.2.1. რიმანის სფეროზე, მერომორფული ბმულობის მქონე F ჰოლომორფული ვექტორული ფიბრაციის Σ მაჩვენებლების ჯამისათვის სრულდება უტოლობა

$$\Sigma = \sum_{i=1}^m \sum_{j=1}^n \beta_i^j \leq c_1(F).$$

ბმულობა, რეგულარული განსაკუთრებული წერტილებით, არის ლოგარითმული (ფუქსის) მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც

$$\Sigma = c_1(F).$$

ფუქსის თანადობის გათვალისწინებით, ჰიპერგეომეტრიული განტოლება პარაგრაფ 1.1-დან, რომლის განსაკუთრებული წერტილებია $0, 1, \infty$ და მაჩვენებლები ამ წერტილებში შესაბამისად არიან რიცხვები: $\beta_0^1 = \beta_1^1 = 0$, $\beta_0^2 = 1 - \gamma$, $\beta_1^2 = \gamma - \alpha - \beta$, $\beta_\infty^1 = \alpha$, $\beta_\infty^2 = \beta$, $\gamma \in \mathbb{C}$ მიიღებს შემდეგ კანონიკურ სახეს

$$u'' + \frac{\gamma - (\alpha + \beta + 1)z}{z(1-z)} u' - \frac{\alpha\beta}{z(1-z)} u = 0.$$

ეს უკანასკნელი არის აქსესორული პარამეტრებისაგან თავისუფალი განტოლება [23-24].

დებულება 2.2.2 [23], [39]. რიმანის სფეროზე, ნებისმიერი მეორე რიგის ფუქსის განტოლება სამი განსაკუთრებული წერტილით, შესაძლებელია მივიყვანოთ ჰიპერგეომეტრიულ განტოლებაზე, z არგუმენტის წილად-წრფივი გარდაქმნითა და u უცნობი ფუნქციის, $u = z^\alpha(z-1)^\beta u$, გარდაქმნის საშუალებით.

2.3. განტოლებათა სისტემისაგან ინდუცირებული ფიბრაცია

განვიხილოთ რეგულარულ განტოლებათა სისტემების თეორიის შებრუნებული ამოცანა, რაც ნიშნავს

$$\chi : \pi_1(\mathbb{CP}^1 \setminus \{s_1, s_2, \dots, s_m\}, z_0) \rightarrow GL(n, \mathbb{C}) \quad (2.3.1)$$

მონოდრომიების საშუალებით ფუქსის სისტემის აგებას, მოცემული $s_1, s_2, \dots, s_m$ განსაკუთრებული წერტილებითა და მოცემული χ მონოდრომიის წარმოდგენით [4], [7], [10].

განვიხილოთ B ბაზის დაფარვა ბმული და ცალადბმული მიდამოებით $\{U_i\}$, რომლების თანაკვეთაც ასევე ბმული და ცალადბმული სიმრავლეა. ყოველ მიდამოში განვიხილოთ წერტილი z_0^i და შევაერთოთ z_0 წერტილთან η_i გზით. ყოველი არაცარიელი თანაკვეთის მქონე U_i და U_j სიმრავლეების z_0^i და z_0^j წერტილები შევაერთოთ ისეთი δ_{ij} გზით,

რომელიც მთლიანად მდებარეობს $U_i \cup U_j$ სიმრავლეში. g_{ij} სიმბოლოთი აღვნიშნოთ მატრიცა:

$$g_{ij} = \chi(\eta_i \circ \delta_{ij} \circ \eta_j^{-1}),$$

სადაც $\xi \circ \zeta$ აღნიშნავს გზას, რომელიც მიიღება თანმიმდევრობით ჯერ ξ და შემდეგ ζ გზებზე მოძრაობების შედეგად (ითვლება, რომ ξ გზის ბოლო და ζ გზის დასაწყისი ერთმანეთს ემთხვევა), ხოლო ξ^{-1} აღნიშნავს გზას, რომელზეც მოძრაობის მიმართულებაც არის ξ გზაზე მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგო. ξ გზის ჰომოტოპიის კლასი აღვნიშნოთ $[\xi]$ სიმბოლოთი, ხოლო იმ მუდმივი მარყუჟის ჰომოტოპიის კლასი, რომლის საწყისი და საბოლოო წერტილიც არის z_0 წერტილი, აღვნიშნოთ სიმბოლოთი e .

განსაზღვრებიდან გამომდინარე $g_{ij} = g_{ji}^{-1}$ და $g_{ij}g_{jk}g_{ki} = I$ - იმ შემთხვევაში თუ $U_i \cap U_j \cap U_k \neq \emptyset$.

მართლაც მივიღებთ:


$$\begin{aligned} g_{ij}g_{jk}g_{ki} &= \chi(\eta_i \circ \delta_{ij} \circ \eta_j^{-1})\chi(\eta_j \circ \delta_{jk} \circ \eta_k^{-1})\chi(\eta_k \circ \delta_{ki} \circ \eta_i^{-1}) = \\ &= \chi(\eta_i \circ \delta_{ij} \circ \eta_j^{-1} \circ \eta_j \circ \delta_{jk} \circ \eta_k^{-1} \circ \eta_k \circ \delta_{ki} \circ \eta_i^{-1}) = \chi(\eta_i \circ \delta_{ij} \circ \delta_{jk} \circ \delta_{ki} \circ \eta_i^{-1}) = \chi(e) = I, \end{aligned}$$

რადგან მარყუჟი $\delta_{ij} \circ \delta_{jk} \circ \delta_{ki}$ მუდმივი მარყუჟის ჰომოტოპიურია.

განვიხილოთ F ვექტორული ფიბრაცია B -ზე, რომელიც აგებულია $\{U_i\}$ დაფარვითა და მუდმივი კოციკლებით $\{g_{ij}\}$. F ვექტორულ ფიბრაციაზე შემოვიღოთ ჰოლომორფული ბმულობა ∇ , რომელიც, F ვექტორული ფიბრაციის ამ საკოორდინატო აღწერაში, მოიცემა ნულოვანი $\omega_i = 0$ ფორმებით.

დებულება 2.3.1. [4], [7], [22]. ∇ ბმულობა იძლევა (2.2.1) მონოდრომიის წარმოდგენას.

დამტკიცება: განვიხილოთ γ მარყუჟი, რომელიც მთლიანად მოთავსებულია B -ში და ამ მარყუჟის სასრული დაფარვა $U_1, \dots, U_M$ (მარყუჟი კომპაქტური სიმრავლეა და ასეთი დაფარვა ყოველთვის არსებობს). ვიგულისხმობთ, რომ $z_0 \in U_1$ და $\eta_1 = z_0$. γ მარყუჟის გასწვრივ, მონოდრომია არის $G_\gamma = (g_{1M}g_{MM-1} \dots g_{21})^{-1}$.



სურათი - 2.3.1.

ჩვენს შემთხვევაში:

$$\begin{aligned}
 (g_{1M}g_{MM-1} \dots g_{21})^{-1} &= g_{21}^{-1} \dots g_{MM-1}^{-1}g_{1M}^{-1} = g_{12} \dots g_{M-1M}g_{M1} = \\
 &= \chi(\eta_1 \circ \delta_{12} \circ \eta_2^{-1}) \dots \chi(\eta_{M-1} \circ \delta_{M-1M} \circ \eta_M^{-1})\chi(\eta_M \circ \delta_{M1} \circ \eta_1^{-1}) = \\
 &= \chi(\eta_1 \circ \delta_{12} \circ \eta_2^{-1} \circ \dots \circ \eta_{M-1} \circ \delta_{M-1M} \circ \eta_M^{-1} \circ \eta_M \circ \delta_{M1} \circ \eta_1^{-1}) = \\
 &= \chi(\eta_1 \circ \delta_{12} \circ \dots \circ \delta_{M-1M} \circ \delta_{M1} \circ \eta_1^{-1}) = \chi([\gamma]),
 \end{aligned}$$

რადგან მარყუჟი $\delta_{12} \circ \dots \circ \delta_{M-1M} \circ \delta_{M1}$ არის γ მარყუჟის ჰომოტოპიური.

დებულება 2.3.2 [22]. ნებისმიერი ჰოლომორფული ვექტორული ფიბრაცია, რიმანის გაჩხვლეტილ სფეროზე B , ჰოლომორფული ბმულობით, რომელსაც აქვს მონოდრომიის წარმოდგენა (2.3.1) ექვივალენტურია ფიბრაციის (F, ∇) .


დამტკიცება: ვაჩვენებთ, რომ ნებისმიერი ორი ფიბრაცია (F^1, ∇^1) და (F^2, ∇^2) , რომლებიც აკმაყოფილებენ დებულების პირობებს, არიან ექვივალენტურები.

განვიხილოთ B ბაზის დაფარვა ისეთი U_i ცალადბმული სიმრავლეებით, რომლებზეც ორივე ფიბრაცია ტრივიალურია და შევადგოთ z_0 წერტილი (რომელიც ეკუთვნის U_0 სიმრავლეს) ყოველ U_j მიდამოსთან γ_j გზით. ყოველი ფიბრაციისათვის, U_0 -ზე განვიხილოთ ერთიდაიგივე მონოდრომიების მქონე ლოკალური ჰორიზონტალური კვეთების ბაზისი ${}^0\phi^i = ({}^0\phi_1^i, \dots, {}^0\phi_n^i)$, $i = 1, 2$ (ისეთი ბაზისი, რომლისთვისაც ნებისმიერი γ წირის გასწვრივ ანალიზური გაგრძელების შედეგი მიგვიყვანს ბაზისთან $({}^0\phi^i)G_\gamma^{-1}$, ერთიდაიგივე G_γ მატრიცით, როგორც $i = 1$ თვის, ასევე $i = 2$ თვის).

$({}^\alpha\phi^i)$ -ით აღვნიშნოთ $({}^0\phi^i)$ ბაზისის გაგრძელების შედეგი U_α მიდამოში, γ_α წირის გასწვრივ. არაცარიელი თანაკვეთის მქონე U_α და U_β მიდამოებისათვის გვაქვს: $({}^\alpha\phi^i)g_{\alpha\beta}^i = ({}^\beta\phi^i)$, $g_{\alpha\beta}^i$ მუდმივი მატრიცებია (ჰორიზონტალური კვეთების, ნებისმიერი ორი ბაზისის კოორდინატების მატრიცები აკმაყოფილებენ ერთიდაიგივე წრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემასა და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მუდმივი მატრიცით). რადგან საწყისი ბაზისების მონოდრომიები $i = 1$ -სა და $i = 2$ -თვის ემთხვევიან, ამიტომ $g_{\alpha\beta}^1 = g_{\alpha\beta}^2$.

რადგან (F^1, ∇^1) და (F^2, ∇^2) ფიბრაციებს აქვთ $(\{U_i\}, \{g_{ij}\})$ ერთნაირი საკოორდინატო აღწერა, ∇^1 და ∇^2 ბმულობის ნულოვან ფორმებთან ერთად, ამიტომ ისინი ექვივალენტურებია.

ექვტორული ფიბრაციის გაგრძელება [10], [33]. შემდეგი ეტაპი არის აგებული ფიბრაციის გაგრძელება მთელ რიმანის სფეროზე, ∇' ლოგარიტმული ბმულობის მქონე ფიბრაციამდე, რომელიც ემთხვევა საწყის ბმულობას $s_1, s_2, \dots, s_m$ განსაკუთრებული წერტილების მიღმა.



სურათი - 2.3.2.

განვიხილოთ U_α მიდამო, რომლის საზღვარსაც ეკუთვნის წერტილი s_i . განვიხილოთ ჰორიზონტალური კვეთების ბაზისი $(e_1^\alpha, \dots, e_n^\alpha)$. რადგან ∇ ბმულობის მონოდრომია, აგების მიხედვით, ემთხვევა (2.3.1)-ს, ამიტომ საკმარისად პატარა δ_i მარყუჟის გასწვრივ, რომელიც შემოუვლის s_i განსაკუთრებულ წერტილს, საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით, ანალიზური გაგრძელების შედეგად, საწყისი ბაზისი გადავა ბაზისში $(e_1^\alpha, \dots, e_n^\alpha)G_i$, სადაც G_i მატრიცა არის მნოდრომიის მატრიცის მსგავსი s_i წერტილში. განვიხილოთ $(z - s_i)^{-E_i}$ ფუნქცია U_α მიდამოში, უფრო ზუსტად, ამ ფუნქციის რომელიმე შტო.

კვეთა $(\xi_1^0, \dots, \xi_n^0) = (e_1^\alpha, \dots, e_n^\alpha)(z - s_i)^{-E_i}$, სადაც $E_i = (1/2\pi i)\ln(G_i)$ მატრიცის საკუთრივი მნიშვნელობები ნორმალიზებულიებია ე. ი. საკუთრივი მნიშვნელობების ნორმირებები ეკუთვნიან სიმრავლეს $[0, 1)$, არის F ვექტორული ფიბრაციის, s_i წერტილის $O_i \setminus \{s_i\}$ გაჩხვლეტილ მიდამოში არსებული, ჰოლომორფული კვეთების ბაზისის შემადგენელი (ე. ი. F ვექტორული ფიბრაცია არის ჰოლომორფულად ტრივიალური $O_i \setminus \{s_i\}$ -ზე).

აქედან გამომდინარე, δ_i მარყუჟის გასწვრივ გაგრძელების შემთხვევაში, ეს ბაზისი გადავა საკუთარ თავში. $(\xi_1^0, \dots, \xi_n^0)$ კვეთა უკვე აღარ იქნება ჰორიზონტარლური და ამ ბაზისში ∇ ბმულობის ფორმას აქვს სახე

$$\omega^\xi = E_i \frac{dz}{z - s_i}. \quad (2.3.2)$$

გავაგრძელოთ F ვექტორული ფიბრაცია s_i წერტილში შემდეგნაირად: განვიხილოთ ცილინდრი $O_i \times \mathbb{C}^n$ (ტრივიალური ვექტორული ფიბრაცია O_i -ზე) კვეთების ბაზისით $(\phi_1, \dots, \phi_n)$, სადაც $\phi_i = (z, e_i)$ და e_i არის $\mathbb{C}^n$ -ს სტანდარტული ბაზისის ელემენტი.

დავაწებოთ $O_i \times \mathbb{C}^n$ ცილინდრი F_E ფიბრაციის სივრცესთან, ყოველი i -თვის $O_i \setminus \{s_i\}$ სიმრავლეზე, ξ_i^0 გავაიგივოთ ϕ_i -სთან და გავაგრძელოთ გაიგივება $(O_i \setminus \{s_i\}) \times \mathbb{C}^n$ -ზე წრფივად. მივიღებთ ფიბრაციას $B \cup O_i$ -ზე. რანაირია მიღებულის ფიბრაციის საკოორდინატო აღწერა s_i წერტილის მიდამოში?

U_0 -ით აღვნიშნოთ O_i მიდამო. თუ საწყის ბაზისად $(e^\alpha) = (e_1^\alpha, \dots, e_n^\alpha)$ არჩეულია ბაზისი, რომელიც შეესაბამება F ფიბრაციის საწყის ლოკალურ ტრივიალიზაციებს ე. ი. თუ $U_\alpha \cap U_\beta$, მაშინ $(e^\alpha)g_{\alpha\beta} = (e^\beta)$, მაშინ აგების მიხედვით $g_{0\alpha} = (z - s_i)^{E_i}$. ნებისმიერი სხვა U_β მიდამოსათვის, რომელიც შეიცავს s_i წერტილს თავის ჩაკეტვაში, $g_{0\beta}(z)$ არის $g_{0\alpha}(z)$ -ის ანალიზური გაგრძელების შედეგი, U_β სიმრავლეში არსებული δ_i გზის გასწვრივ. ამ გაგრძელების შედეგად, U_α -ში დაბრუნებისას, პირდაველად არჩეული $(z - s_i)^{E_i}$ შტოს ნაცვლად ვღებულობთ შტოს $(z - s_i)^{E_i} G_i$, რაც უზრუნველყოფს ფიბრაციის გაგრძელების კორექტულობას.

ჰორიზონტალური კვეთების ნებისმიერი სხვა $(\tilde{e}^\alpha)$ ბაზისი, (e^α) ბაზისთან დაკავშირებულია შემდეგნაირად $(\tilde{e}^\alpha) = (e^\alpha)S_i$ და δ_i გზის გასწვრივ ანალიზური გაგრძელების შემთხვევაში $(\tilde{e}^\alpha)$ ბაზისი გადავა $(\tilde{e}^\alpha)\tilde{G}_i$ ბაზისში, სადაც $\tilde{G}_i = S_i^{-1}G_iS_i$. ავირჩიოთ ისეთი ბაზისი, რომლისთვისაც $\tilde{G}_i$ მატრიცა არის ზედა სამკუთხა. Λ_i სიმბოლოთი აღვნიშნოთ დიაგონალური მატრიცა, რომლის დიაგონალზე იმყოფებიან მთელი რიცხვები λ_i^j , $j = 1, \dots, n$ და $\lambda_i^j \geq \lambda_i^{j+1}$, $j = 1, \dots, n - 1$. ასეთ მატრიცებს ვუწოდოთ დასაშვები მატრიცები.

განვიხილოთ $O_i \setminus \{s_i\}$ სიმრავლეზე F ფიბრაციის ლოკალური კვეთების ბაზისი $(\xi^{\Lambda_i}) = (\tilde{e}^\alpha)(z - s_i)^{-\tilde{E}_i}(z - s_i)^{-\Lambda_i}$ და გავაგრძელოთ F ფიბრაცია s_i წერტილში ზემოთ აღწერილის მიხედვით, შევცვალოთ (ξ^0) კვეთების ბაზისი (ξ^{Λ_i}) ბაზისით, ω^{Λ_i} ბმულობის ფორმა, (2.4.4)-ის გამო, მიიღებს სახეს:

$$\omega^{\Lambda_i} = (\Lambda_i + (z - s_i)^{\Lambda_i} \tilde{E}_i (z - s_i)^{-\Lambda_i}) \frac{dz}{z - s_i}. \quad (2.3.3)$$

რადგან მატრიცა $(z - s_i)^{\Lambda_i} \tilde{E}_i (z - s_i)^{-\Lambda_i}$ ჰოლომორფულია s_i წერტილში, ამიტომ ფორმას აქვს ლოგარითმული განსაკუთრებულობა ამ წერტილში.

გადასვლის ფუნქციას $\tilde{g}_{0\alpha}$ აქვს სახე:

$$\tilde{g}_{0\alpha} = (z - s_i)^{\Lambda_i} (z - s_i)^{\tilde{E}_i} S_i^{-1} = (z - s_i)^{\Lambda_i} S_i^{-1} (z - s_i)^{\tilde{E}_i}.$$

განვიხილოთ ერთობლიობა $\Lambda = (\Lambda_1, \dots, \Lambda_n)$, რომლებიც შედგებიან დასაშვები მატრიცებისაგან და ამ ერთობლიობას ვუწოდოთ დასაშვები ერთობლიობა. გავაგრძელოთ F ფიბრაცია ყოველ s_i წერტილში შესაბამისი Λ_i მატრიცის საშუალებით. მივიღებთ ჰოლომორფულ ვექტორულ ფიბრაციას F^Λ მთელ რიმანის სფეროზე, ლოგარითმული ბმულობით ∇^Λ . ყველა ასეთი ფიბრაციების ოჯახი აღვნიშნოთ სიმბოლოთი $\mathcal{F}$.

ფიბრაციას F^0 ბმულობით ∇^0 (ფიბრაციის გაგრძელება, რომელიც აგებულია $\Lambda_1 = \dots = \Lambda_n = 0$ ერთობლიობით) ეწოდება (F, ∇) საწყისი ფიბრაციის *კანონიკური გაგრძელება*.

(F, ∇) საწყისი ფიბრაციის გაგრძელება $(F^\Lambda, \nabla^\Lambda)$ დამოკიდებულია $S_1, \dots, S_n$ მატრიცებზე (მონოდრომიის მატრიცის ზედა სამკუთხა მატრიცის სახემდე მიყვანის საშუალებაზე), F ფიბრაციის საწყის საკოორდინატო აღწერასა და $(z - s_i)^{E_i}$ მრავალსახა ფუნქციის შტოს არჩევაზე. ბოლო ორი დამოკიდებულება არა არსებითია, რადგან ისინი დამოკიდებულები არიან $S_1, \dots, S_n$ მატრიცების ცვლილებაზე. რაც შეეხება ფიბრაციის დამოკიდებულებას $S_1, \dots, S_n$ მატრიცებზე, ეს დამოკიდებულება მნიშვნელოვანია. ორი ფიბრაცია, რომლებიც არიან აგებულები ერთიდაიგივე დასაშვები ერთობლიობით, მაგრამ სხვადასხვა S_i მატრიცებით შსაძლებელია, რომ არ იყვნენ ექვივალენტურები.

ყოველივე ზემოთ თქმული არ უკავშირდება კანონიკურ გაგრძელებას, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ საწყის (2.3.1) წარმოდგენაზე.

დებულება 2.3.3 [4]. სიმრავლე $\mathcal{F}$ შეიცავს რიმანის სფეროზე, ყველა ჰოლომორფულ ვექტორულ ფიბრაციას, ჰოლომორფული ბმულობით, მოცემული განსაკუთრებული წერტილებითა და მოცემული მონოდრომიით.

დამტკიცება. განვიხილოთ ნებისმიერი ფიბრაცია F' ლოგარითმული ბმულობით ∇' , მოცემული განსაკუთრებული წერტილებითა და (2.3.1) მონოდრომიით, $(F', \nabla')|_B = (F, \nabla)$. s_i წერტილის O_i მიდამოში, (ξ) ლოკალური ჰოლომორფული კვეთების ბაზისში, ∇' ბმულობა იძლევა წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა ფუქსის სისტემას (2.2.1).

O_i -სა და U_α -ს თანაკვეთაზე, რომლის ჩაკეტვაც შეიცავს s_i წერტილს, განვიხილოთ ამ სისტემის ამონახსნთა ლეველის ფუნდამენტური მატრიცა:

$$Y(z) = U(z)(z - s_i)^{A_i}(z - s_i)^{E_i}.$$

$O_i \cap U_\alpha$ სიმრავლეზე, ჰორიზონტალური კვეთების (ϕ^α) ბაზისს აქვს სახე $(\phi^\alpha) = (\xi)Y(z)$. F' ფიბრაციის (ξ) ლოკალური ტრივიალიზაციებიდან გადავიდეთ $(\xi') = (\xi)U(z)$ -ზე (რადგან სისტემის ფუქსურობიდან გამომდინარეობს $U(z)$ ჰოლომორფულად შებრუნებადია O_i -ში, ამიტომ ბაზისის ელემენტები (ξ') კვლავ იქნებიან ჰოლომორფული კვეთები), მივიღებთ

$$(\xi') = (s^\alpha)(z - s_i)^{-E_i}(z - s_i)^{-A_i},$$

ე. ი. F' ფიბრაცია, O_i -ზე, ექვივალენტურია F ვექტორული ფიბრაციის გაგრძელების, რომელიც აგებულია დასაშვები მატრიცებით $\Lambda_i = A_i$ (და რომელიმე S_i მატრიცებით).

რადგან რიმანის სფეროზე ფუქსის სისტემა, მოცემული განსაკუთრებული წერტილებითა და მონოდრომიებით, შესაძლებელია განვიხილოთ როგორც რომელიმე ტრივიალური ფიბრაციის ბმულობა, როგორც შედეგი მივიღებთ შემდეგ თეორემას.

თეორემა 2.3.1 [4] მონოდრომიის წარმოდგენა (2.3.1) შესაძლებელია რეალიზებული იყოს როგორც რიმანის სფეროზე, $s_1, s_2, \dots, s_m$ მოცემული განსაკუთრებული წერტილების მქონე, რომელიმე ფუქსის სისტემის წარმოდგენა მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ფიბრაციების $\mathcal{F}$ სიმრავლე, რომელიც აგებულია (2.3.1) წარმოდგენით, შეიცავს ერთ მაინც ჰოლომორფულად ტრივიალურ ფიბრაციას.

2.4. მატრიცული ფუნქციის ფაქტორიზაცია და ჰოლომორფული ფიბრაციების კლასიფიკაცია რიმანის სფეროზე

განვიხილოთ Γ მარტივი, გლუვი, ჩაკეტილი კონტური კომპლექსურ რიცხვთა სიბრავლეში, რომელიც შემოსაზღვრავს D_+ არეს, D_- -ით აღვნიშნოთ $D_+ \cup \Gamma$ სიბრავლის დამატება, $\mathbb{C} \cup \{\infty\}$ გაფართოებულ კომპლექსურ რიცხვთა სივრცეში და ჩავთვალოთ, რომ $0 \in D_+$, ხოლო $\infty \in D_-$, ე. ი.

$$D_- = (D_+ \cup \Gamma)^c = \mathbb{C} \cup \{\infty\} \setminus \{D_+ \cup \Gamma\}.$$

განსაზღვრება. [5-6], [25]. $a(t)$ მატრიც-ფუნქციის ვინერ-ჰოპფის (Wiener-Hopf) *მარჯვენა ფაქტორიზაცია* ეწოდება წარმოდგენას:

$$a(t) = r_-(t)d_r(t)r_+(t), \quad t \in \Gamma, \quad (2.4.1)$$

$r_{\pm}(t)$ არიან უწყვეტი მატრიც-ფუნქციები Γ წირზე, ანალიზურად გაგრძელებადები და შებრუნებადები $D_{\pm}$ არეში, $d_r(t) = \text{diag}(t^{\rho_1}, \dots, t^{\rho_n})$, სადაც $\rho_1, \dots, \rho_n$ მთელი რიცხვებია, რომლებიც ცალსახად განისაზღვრებიან $a(t)$ მატრიც-ფუნქციების საშუალებით. ამ მთელ რიცხვებს ეწოდებათ $a(t)$ მატრიც-ფუნქციის *მარჯვენა კერძო ინდექსები*. ისინი შეიძლება დავალაგოთ ნებისმიერი თანმიმდევრობით, ამის გამო, ზოგადობის შეუზღუდავად, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ $\rho_1 \leq \dots \leq \rho_n$ (ან $\rho_1 \geq \dots \geq \rho_n$).

ანალოგიურად განისაზღვრება მატრიცული ფუნქციის, ვინერ-ჰოპფის მარცხენა ფაქტორიზაცია. კერძოდ, $a(t)$ მატრიც-ფუნქციის ვინერ-ჰოპფის *მარცხენა ფაქტორიზაცია* ეწოდება წარმოდგენას:

$$a(t) = l_+(t)d_l(t)l_-(t), \quad t \in \Gamma, \quad (2.4.2)$$

$l_{\pm}(t)$ არიან უწყვეტი მატრიც-ფუნქციები Γ წირზე, ანალიზურად გაგრძელებადები და შებრუნებადები $D_{\pm}$ არეში, $d_l(t) = \text{diag}(t^{\lambda_1}, \dots, t^{\lambda_n})$, სადაც $\lambda_1, \dots, \lambda_n$ მთელი რიცხვებია, რომლებიც ცალსახად განისაზღვრებიან $a(t)$ მატრიც-ფუნქციის საშუალებით. ამ მთელ რიცხვებს ეწოდებათ $a(t)$ მატრიც-ფუნქციის *მარცხენა კერძო ინდექსები* და შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ $\lambda_1 \leq \dots \leq \lambda_n$ (ან $\lambda_1 \geq \dots \geq \lambda_n$).

თუ ყველა კერძო ინდექსი ნულის ტოლია, მაშინ ფაქტორიზაციას ეწოდება კანონიკური.

მატრიცული ფუნქციის (2.4.1), (2.4.2) სახით წარმოდგენის ამოცანა, მათემატიკის რამდენიმე მიმართულებაში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა. ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემების განსაკუთრებული წერტილის მიდამოში, კანონიკური ფორმის დასადგენად ანალოგიური შედეგი მიიღო გ. ბირკჰოფმა (J.Birkhoff), სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემების თეორიაში, ნ. მუსხელიშვილმა და ნ. ვეკუამ, წრფივი შეუღლების ამოცანის დასახასიათებლად უსასრულობაში, შემოიტანეს კერძო ინდექსების ცნება [29]. ა. გროთენდიკმა (A.Grothendieck) სფეროზე, ანალიზური ფიბრაციის წრფივი ფიბრაციების ჯამად წარმოდგენის შესაძლებლობა აჩვენა და თითოეული წრფივი ფიბრაციის ჩერნის რიცხისაგან შედგენილი მთელ-რიცხვა ვექტორი აღმოჩნდა ამ ფიბრაციის სრული ანალიზური ინვარიანტი. ამის გამო, სამეცნიერო ლიტერატურაში (2.4.1), (2.4.2) წარმოდგენას მატრიც-ფუნქციის ბირკჰოფის ფაქტორიზაციასაც უწოდებენ. ანალიზურ ფუნქციათა თეორიაში კი ანალოგიური შედეგი, ყველაზე ადრე, მიღებული ჰქონდა ფრანგ ინჟინერს სავაჟს (L.Souvage) ([6], იქვე იხილეთ მოკლე ისტორიული მიმოხილვა).

$a(t)$ მატრიც-ფუნქციის დეტერმინანტის კოშის ინდექსი, $\text{ind}_\Gamma \det(a(t))$, განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$\text{ind}_\Gamma \det(a(t)) = \frac{1}{2\pi} [\arg \det(a(t))]_\Gamma,$$

სადაც $[\arg \det(a(t))]_\Gamma$ აღნიშნავს $\det(a(t))$ -ის არგუმენტის ნაზრდს, Γ კონტურზე, დადებითი მიმართულებით (საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით), შემოვლისას.

მატრიცული ფუნქციის ფაქტორიზაციის განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ

$$\sum_{i=1}^n \rho_i = \sum_{i=1}^n \lambda_i = \text{ind}_\Gamma \det(a(t)),$$

მატრიცულ ფუნქციას უწოდებენ *მდგრადს*, თუ მისი კერძო ინდექსები არ იცვლება ამ მატრიცის მცირე შეშფოთების დროს. ცნობილია, რომ მატრიცული ფუნქციის მდგრადობისათვის აუცილებელია და საკმარისი $|\rho_1 - \rho_n| \leq 1$ უტოლობის შესრულება.

განვიხილოთ ვექტორული ფიბრაცია $\mathcal{O}(k)$, რომლის რანგი არის 1, ხოლო საკოორდინატო აღწერა არის შემდეგი:

$$U_0 = \mathbb{C}, U_\infty = \mathbb{CP}^1 \setminus \{0\}, g_{0\infty}(z) = z^k, g_{0\infty} : \mathbb{C} \setminus \{0\} \rightarrow \mathbb{C}^*, \mathbb{C}^* = \mathbb{C} \setminus \{0\} = GL(1, \mathbb{C}).$$

დებულება 2.4.1 ფიბრაცია $\mathcal{O}(k)$ ტრივიალურია მაშინ და მხოლოდ მაშინ როდესაც $k = 0$.

დამტკიცება. თუ ფიბრაცია $\mathcal{O}(k)$ ტრივიალურია, მაშინ არსებობს უწყვეტი ფუნქციები $h_0 : \mathbb{C} \rightarrow \mathbb{C}^*$ და $h_\infty : \mathbb{CP}^1 \setminus \{0\} \rightarrow \mathbb{C}^*$ ისეთი, რომ $h_0(z) = g_{0\infty}(z)h_\infty(z) = z^k h_\infty(z)$, როდესაც $z \in \mathbb{C} \setminus \{0\}$.

$$h(z) = \ln(h_0(z)) - \ln(h_\infty(z)) = \ln\left(\frac{h_0(z)}{h_\infty(z)}\right) = \ln(g_{0\infty}(z)) = \ln\left(\frac{z^k h_\infty(z)}{h_\infty(z)}\right) = \ln(z^k) = k \ln(z),$$

ლოგარითმი მრავალსახა ფუნქციაა, $h_0(z), h_\infty(z) \neq 0$ ე. ი. $\ln(h_0(z))$ -სა და $\ln(h_\infty(z))$ -ს არა აქვთ განშტოების წერტილი $\mathbb{C} \setminus \{0\}$ სიმრავლეზე, ამის გამო მათზე, როგორც ფუნქციაზე, რომ ვილაპარაკოთ საჭიროა მათგან გამოვყოთ შტოები, რადგან $h(z) = \ln(g_{0\infty}(z)) = k \ln(z)$, ამიტომ ამ ფუნქციიდან შტოს გამოყოფა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ $k = 0$. ამის გამო, თუ $k \neq 0$, მაშინ ფიბრაცია ანალიზურად არა ტრივიალურია.

თუ $k = 0$, მაშინ ფიბრაცია $\mathcal{O}(k)$ არის პირდაპირი ნამრავლი და ამის გამო ის ტრივიალურია.

განსაზღვრება. ვთქვათ F და F' არიან p და q რანგის ფიბრაციები B -ზე, $\{U_i\}$ დაფარვაა და $\{g_{ji}\}$ და $\{g'_{ji}\}$ კოციკლებია. $p + q$ რანგის ფიბრაციას, რომელიც მოიცემა $\{g_{ji}^\oplus\}$ კოციკლებით,

$$g_{ji}^{\oplus} : U_i \cap U_j \rightarrow GL(pq, \mathbb{R}(\mathbb{C})), \quad g_{ji}^{\oplus}(x) = \begin{pmatrix} g_{ji}(x) & 0 \\ 0 & g'_{ji}(x) \end{pmatrix},$$

ეწოდება F და F' ფიბრაციების პირდაპირი ჯამი და აღინიშნება სიმბოლოთი $F \oplus F'$.

pq რანგის ვექტორულ ფიბრაციას, რომელიც მოიცემა $\{g_{ji}^{\otimes}\}$ კოციკლებით

$$g_{ji}^{\otimes} : U_i \cap U_j \rightarrow GL(pq, \mathbb{R}(\mathbb{C})),$$

სადაც მატრიცა $g_{ji}^{\otimes}$ შედგება $H_{kl}(x)$ ბლოკებისგან, $k = 1, \dots, p$ და $l = 1, \dots, q$,

$$H_{kl}(x) = \begin{pmatrix} h_{k1}(x)h'_{1l}(x) & \dots & h_{kp}(x)h'_{1l}(x) \\ \dots & \dots & \dots \\ h_{k1}(x)h'_{ql}(x) & \dots & h_{kp}(x)h'_{ql}(x) \end{pmatrix},$$

($h_{kl}(x)$ და $h'_{kl}(x)$ რომლებიც არიან, შესაბამისად, g_{ji} და g'_{ji} მატრიცების ელემენტები), ეწოდება F და F' ვექტორული ფიბრაციების *ტენზორული ან კრონეკერის ნამრავლი* და აღინიშნება სიმბოლოთი $F \otimes F'$.

F' ფიბრაციას ეწოდება F ფიბრაციის *ქვეფიბრაცია*, თუ B ბაზის რომელიმე $\{U_i\}$ დაფარვის შესაბამისი $\{g_{ji}\}$ და $\{g'_{ji}\}$ კოციკლებისათვის სრულდება ტოლობა:

$$g_{ji}(x) = \begin{pmatrix} g'_{ji}(x) & * \\ 0 & * \end{pmatrix}.$$

ამ განსაზღვრებებიდან გამომდინარეობს, რომ $\mathcal{O}(k) \otimes \mathcal{O}(l) = \mathcal{O}(k+l)$ და $\mathcal{O}(k_1) \oplus \dots \oplus \mathcal{O}(k_n)$ მოიცემა კოციკლებით:

$$g_{ji}^{\oplus}(z) = \text{diag}(z^{k_1}, \dots, z^{k_n}).$$

